სახალხო გაზეთი

№ 904 სამშაბათი, 28 მაისი 1913 წ. № 904

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

ყოველ დღიური საპოლ.-ლიტ. და სალიტერატურო **სახალხო გაზეთი** ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

პირველი თიბათვიდან წლის დამლევამდე, როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ **ღირს 5 მ. 25 კაპ.**

თვეში ღირს 75 კაპ.

არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე.

მისამართი: Тифлисъ, газ. „Сахалхо газети“ Почт. ящ. 190.

დღეს, სამშაბათს, 28 მაისს, **ნორაშენის** ღვთის-მშობლის ეკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცე დღის წირვა და პანაშვიდი

გიორგი იაგორის ძის ფრიდონოვის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ ძმა გარდაცვალებულის **მნაცაკან იაგორის ძე ფრიდონოვი.** წირვის დასაწყისი დილის 10 საათზე, პანაშვიდისა 12 საათზე, 311

ტელეფ. № 795. ქართული თეატრი **ტელეფ. № 795.**

სამშაბათს, 28 მაისს, 1913 წ.

ზაქ. პ. ფალიაშვილი გამართავს

ქართულ კონცერტს

მ. ა. კოლოტოვისა და **ივ. პ. სარაჯიშვილის** მონაწილეობით.

შესრულებული იქნება: 1) მ. მ. იპპოლიტ ივანოვის „სიუიტა ივერია“ დიდი სიმფონიური ორკესტრისათვის ნაწარმოები. 2) ზაქ. პ. ფალიაშვილის ახალი ქართული ოპერიდან **„აბესალომ და ეთერი“** პირველი სურათი და მესამე მოქმედება, — აბესალომის როლს შეასრულებს **ივ. სარაჯიშვილი.** 3) ა) ქართული სახალხო სიმღერები ხორისა და ორკესტრისათვის და სოლო შემუშავებული ზ. ფალიაშვილის მიერ და ბ ოპერა „აბესალომ და ეთერიდან“ ცალკე ნომრები.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი **კოლოტოვისა**, **პრესინსკისა**, **კოვალენსკისა**, ბ-ნნი **ივ. სარაჯიშვილი**, **ინაშვილი**, **ლორთქიფანიძე**, **პეტროსიანი**, ქართული ფილარმონიულ საზოგადოების გაძლიერებული გუნდი და ახალი კლუბის სიმფონიური ორკესტრი ზაქ. პ. ფალიაშვილის ლოტბარობით რეჟისორი **კონსტ. ანდრონიკაშვილი.** დასაწყისი საღამოს სრულ $8^1/_2$ საათზედ. დაწვრილებით პროგრამმაში. ადგილების ფასი ჩვეულებრივია. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. 1207

ახალი კლუბი

(საზაფხულო სადგომი)

შაბათს, 8 ივნისს, 1913 წ. გაიმართება

საღამო

ქართულ ვოკალურ და სიმფონიურ მუსიკისა **დ. ი. არაყიშვილის** ნაწარმოებთაგან, მისი პირადი გამგეობით და ავტორის შესავალ სიტყვით:

„ქართული სახალხო სიმღერა და ქართველების კულტურა“

დაწვრილებით აფიშებში. 1234.

ექ. ვ. დ. ღამბაშიძის

სანატორიუმი

და საზაფხულო სამყოფი

პატარა-ცემი

გაიხსნება 15 თიბათვეს—31 მარიამობისთვემდე.

მისამართი ფოსტით: ტფილისი, **ექ. ვ. დ. ღამბაშიძეს.** 299

ტფილისის კერძო სამკურნალო

ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან.

ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.

ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

შინაგანი სნეულებანი.	**მანსვეტაშვილი ვ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს. **მალალაშვილი გ. გ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12. **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12—1 ს. **ფედოროვი ე. გ.** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1. ექ.-ქალ. **ენგელ მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** სამ., ხუთ., შაბ. 11—12
ქირურგ. სნეულებანი.	**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტატი ყოველ დღე $11^1/_2$—$12^1/_2$. **მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1. **ფირადოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1.
ქალთა და სამშობ სნეულებანი	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12. **თიკანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2. **მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—1. **სულაკოვი ა. ი.** ყოველ დღე 2—1.
ბავშვთა სნეულბ.	**ექ.-ქალ. ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** ყ.-დღე, გარდა ოთხშ. 1—$1^1/_2$ **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12—1 **ფედოროვი გ. ს.** ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1.
ნერვიულ. სნეულებ. და ელექ.	**გედევანიშვილი. მ ა.** შაბათობით 10—11. **ჯავახიშვილი ნ. ნ.** ოთხშაბ., პარას. და კვირას 11—12 **ფონდოევი გ ს.** ყოველ დღე 1—2.
ყელ. ყურის და ცხვირ.	**ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე $12^1/_2$—$1^1/_2$. **ორემბოვსკი ნ. ს.** ყოველ დღე $1^1/_2$—2.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—$2^1/_2$.
კან. და ვენერ. ავ.	**დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე $11^1/_2$—$12^1/_2$.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wasserman.** რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, **„606“** და **„914“ წამლის შეხაპუნება**, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა. შეღავათიანი საფასურით. წ. 1035

ქ. ი. ზუბალაშვილის სახელობის ქ ლაქის სახალხო სახლი

კვირას, 2 ივნისს, გაიმართება

ლიტერატურული და მუსიკალური დილა

I. ლექცია **„ქართული ლიტერატურა მე-19-ე საუკუნეში“** წაიკითხავს **ბ-ნი წულუკიძე.** II. ხორო იმღერებს **„ბუთნის დედას“** ლექსი **ილ. ჭავჭავაძისა** მუსიკა **ნ. პ. სულხანიშვილისა.** ლექსებს წაიკითხავენ: **ბ. ახოსპირელი** და **ბ. ს. აბაშელი.** ხორო იმღერებს: **„მაშ გამარჯვება“** სიტყვები ბაირონიდან, მუსიკა **ნ. პ. სულხანიშვილისა.** ლექსებს წაიკითხავენ: **ი. ევდოშვილი**, **კ. მაყაშვილი**, ესკიზს **შ. არაგვისპირელისას** წაიკითხავს ქ-ნი **სულხანიშვილისა**, ხორო იმღერებს საყმაწვილო ოპერიდან **„ეს ქვეყანა ყველასთვის მდიდარია“** მუსიკა **ნ. პ. ს.** III. ხორო იმღერებს **„სამშობლო ხევსურისა“**, ლექსი რაფ. ერისთავისა მუსიკა **ნ. პ. ს.** ორატორია **„მესტვირული“** ლექსი **აკაკისა** მუსიკა **ნ. პ. ს.** ლექსებს წაიკითხავენ: **თედო რაზიკაშვილი** და **ვაჟა-ფშაველა.** ხორო იმღერებს **ჰიმნს.** დაწვრილებით აფიშებში და პროგრამაში, ბილეთები გაიყიდება თეატრის კასაში 31 მაისიდან.

1233

გამგე **ნ. პ. სულხანიშვილი.**

ტფილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის

გამგეობა

აცხადებს, რომ პირველი ივნისიდან პირველ ენკენისთვემდე ბანკში მუშაობა **დაიწყება დილის 9 ს.** და **დასრულდება ნაშუადღევის 2 ს.** წლის დანარჩენ დროს კი—დილის 10 საათ. ნაშუადღევის 3 საათამდე; მთხოვნელებისა და ვალის აღებათა მიღება, აგრეთვე კასიდან ფულის მიღება მუშაობის გათავების ერთი საათით წინ სრულდება. 1232.

ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში

იყიდება შემდეგი ახლად დასტამბული წიგნები:

ვეფხის-ტყაოსანი ინგლისურად ნათ. ვორდროპის მიერ	ფ. 6—კ.
გრიშაშვილი ბროლის ლიმილი	10 „
გაბაშვილი ე. მაგდანას ლურჯა	5 „
დავით ეპისკოპოსის სიტყვანი I	10 „
„ „ იგივე II	15 „
ერისთავი დიმ. ნაწ.-დაუს. რომანი.	20 „
ვართაგავა ჟპ. ევდოშვ. პოეზია	15 „
თაფლი და მისი სამკურნალო მნიშვნელობა, წულაძის თარგმ.	5 „
ლომოური ნ. ალი	10 „
„ „ ქაჯანა	5 „
მღვიმელი. ცვარი	20 „
ნინოშვილი ე. ორი პუბ. წერილი	5 „
„ „ არშიყნი	5 „
„ „ განკარგულება	5 „
„ „ მოსე მწერალი	10 „
ნინოშვილის ბიოგრაფია, დასაფლავება და კრიტიკული გარჩევა, ი. გომართლისა	15 „
Ниношвили Игнатій	5 „
ნიკოლაძე ნ. ჩემს პოლიტიკაზე	0 „
რამიშვილი ტრ. ცხოვრების ნაწყვეტი დრამა 1 მოქმ.	15 „
ბრიე. დასჯილნი პიეს. სამ მოქ.	40 „
ყიფშიძე ალ. კანონი გლეხთა და სოფლელთა და ბატონთა და მემამულეთა შორის დროებით ვალდებულ დამოკიდებულ ურთიერთობის მოსპობისა, ნადელის დახსნითა და შესყიდვით საკუთრებად, ძთავრობის დახმარებით, ტფილისისა, ქუთაისისა, ერევნისა, ელისავეტოპოლისა და ბაქოს გუბერნიებში и Временная инструкція должноснымъ лицамъ и учрежденіямъ по приведенію въ исполненіе закона 20 декабря 19 года	30 „
ჭყონია ილიას ნაწერები	1 მან.

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз. нас. 1217

ოქროს მედალი რომის გამოფენაზე 1910 წ.

ბრიუსელის გამოფენაზე 1901 წ. GRAND PRIX.

შპალიერის (ОБОИ) ქარხანა

ძმ. ტარნოპოლეგისა.

განყოფილება იმყოფება გოლ. პროსპ., № 21, ტელ. № 355.

მიღებული გვაქვს ძვირფასი საჩუქრები.

იყიდება რუსეთის ყველა ქალაქებში. ფასი ყველა (სრული ზომის $11^1/_4$ არშ.) შპალიერისა, ს. ფაბრიკოა 8 კ. ვიდრე 6 მ. თოფი. ნიმუშები დაეთმობათ უფასოდ, როგორც ქალაქებში, ისე ქალაქ გარედ მცხოვრებთ.

ოქროს მედალი ოდესის გამოფენაზე 1910 წ. 1137

ოქროს მედალი ტურინის გამოფენაზე 1910 წ.

საბურთალოზე

მშვენიერ ალაგას,

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი**, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1220

ექიმი ვ. ა. მიქელაძე. იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებათ** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—$6^1/_2$ საათ. კახეთის ქ., № 6.

ექიმი კბილისა **ნინო ჩიხილაძე** იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს ოლღას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი მაქარაშვილისა

კბილის ექიმი ა. გ. ხოლოღაშვილი იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათ. და საღამოთი 5—7 ს.-მდე. გოლოვინის პრ. № 12. 1334

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან-ავადმყ. $9^1/_2$ ს. 10 ს.

ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა სიფილ., კანისა და ვენერ. 11—$1^1/_2$ ს

ბ. ა. პოპოვი. ყოვ. დღე, კვირის გარდა. ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—$1^1/_2$ ს.

ექ. ქალი იოსელიანისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—$11^1/_2$ ს.

ვორობიევი. შინაგ. ბავშვ. სნეულ სამშ. ოთხშ. შაბ. და კვირ. 2—3 საათამდე.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

ივ. გომართელი. ყ.-დღ. შინაგ. 2—3 ს. მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

წამლობა „606“-ით 1053

ექიმი ე. ი. მინასიანცი შინაგან, ბავშვთა, სპეც. კუჭისა და ნაწლევთა ავადმყ. და საზრდოებ. (სისხლ ნაკლულ. შაქრის ავადმყ. სიმსუქნე, ლოთობა, ქარები) ჰლექ. და დამპალი ციება პარიზულ კლინიკ. პროფ. Mathieu. **იღებს** დილ. 9—11 ს., საღ. 5—7 ს. ტფილისი, მიხეილ. ქ. № 86, ტელ. № 576. 1071

ექიმი ი. ი. ბერიშვილი სწამლობს **ხაშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა** და **კანის** ავადმყ.; **გახსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—$5^1/_2$ ს. **ელიზაბედ. ქ.**, № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფი. პირდაპირ. 102

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **სეირნობა.** 26 მაისს გაიმართა სეირნობა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სასარგებლოდ. სეირნობამ საზოგადოდ მხიარულად ჩაიარა. ხალხი ბევრი დაესწრო. შემოსავალი ჯერ დაწვრილებით გამორკვეული არ არის, მაგრამ დაახლოვებით იგი 1300 მანეთამდე უნდა იყოს.

◆ **დიდის მთავრის ოლღა თეოდორეს ასულის ძეგლის** ამგებმა კომისიამ შეადგინა საგანგებო ჟიური, რომელმაც უნდა განიხილოს ძეგლის პროექტები. სულ 5 პროექტია. ჟიურიში შედიან მხატვარნი და ხუროთ-მოძღვარნი: ბაშინჯაგიანი, შმერლინგი, გრინევსკი, კალგინი, ბარტი, მელიქ-ბეგლიაროვი და ტერ-მიქაელიანცი.

◆ **პოლიტეხნიკუმი** საუწყებათაშორისო კომისიამ მეფის მოადგილის განკარგულებით კიდევ ახალი წევრნი დაინიშნენ: მეფის მოადგილის საბჭოს წევრი ნ. ფ. დიუნკოვსკი, ქალაქის თვითმმართველობის წარმომადგენელი თ-დი გ. მ. თუმანოვი და ნავთის მრეწველთა საბჭოს ერთი წარმომადგენელი.

◆ **ქ-ნი მართა აგლაძე** გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ მან **დაჰკარგა** ორი საკვიტანციო წიგნაკი ქართულ გიმნაზიასთან არსებულ უფასო სასადილოსი. მპოვნელთ სთხოვენ, წიგნაკები ამ ადრესით მიიტანონ: ვარდისუბანის ქ., № 30.

◆ **შეიპყრეს** ლეონ ვართანიანცი, ალექსანდრე ხუბეროვი, იაკობ ვართანიანი, შერმაზან ხუბერიანცი და შოკოგატ ტარხანიანცისა, რომელთაც ბრალდებათ ბოიაჯიანცის ძალდატანებით 6,000 მან. ფეხსაცმელისა და სახღვარ-გარეთის ტყავეულობის ძოპარვა.

◆ **საბირჟო ცნობები.** 27 მაისს შეთანხმება არ მომხდარა. პროცენტიან ქაღალდების ფასი შემდეგია: ტფ. ქალაქის საკრედიტო საზოგადოების 5% ობლიგაციებისა: აფასებენ—83 მან. 75 კ., აძლევენ—85 მ. 40 კ., ტფ. სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა; აფასებენ—83 მან. 60 კ., აძლევენ—83 მ. 35 კ., და ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებენ—80 მან. 70 კ., აძლევენ—79 მან. 65 კ.

საზოგადოებანი და კრებები

◆ **სახალხო სახლში რუსულ წარმოდგენების მმართველ წრის** წევრთა წლიური კრება 21 მაისს მოხდა ი. გ. დოლუხანოვის თავმჯდომარეობით. კრებამ დაამტკიცა წრის წარსულ სეზონის ანგარიში, საიდანაც, სხვათა შორის, სჩანს, რომ წრეს ჰყოლია 76 წევრი. სეზონში გაუმართავს 54 წარმოდგენა, შემოსავალი ჰქონია, 11,026 მან. 56 კ., ხარჯი—11,058 მ. 3 კ., უკანასკნელ ოთხს სეზონში ჰქონია შემოსავალი 43,651 მან. 26 კ., ხარჯი—42,301 მ. 87 კ., დასასრულ არჩევნები მოხდა. გამგეობის თავმჯდომარედ აირჩიეს: ი. ს. ბუკშტეინი, წევრებად: ნ. პ. მოისეევი, ი. ა. ოსიპოვი, ე. ნ. ჩალენკოვისა, ვ. ტ. ფეფელოვისა, გ. ა. ბეილინი და ი. ა. ზლობინი; კანდიდატებად: კ. დ. ზელენსკი და მ. ნ. კურმანოვიჩი. სარეჟისორო საბჭოში აირჩიეს: ი. ა. ოსიპოვი, ი. ა. ტარაკანოვი და ლ. ე. ერმოლაევი. სარევიზიო კომისიის წევრებად აირჩიეს: ი. ა. კურგანოვიჩი, ს. გ. რამენდიკი და ს. მ. კორხანიდი.

გულითადის მწუხარებით ვაცხადებ, რომ ჩემის ძმის **ტიმოთე გრიგოლის ძის ურუშაძის** დაკრძალვას ვერ დავესწარი.

სვიმონ გრიგოლის ძე ურუშაძე

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში. იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 19

ექიმი ქუთაისში **გ. თ. ტყეშელაშვილი.** ათ აპრილიდან ღებულობს ავადმყოფებს ახალ ბინაზე: ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან, პუშკინის ქუჩიდან შესახვევში. 1130

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღ.-მ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვაჩ. ავადმყ. არ იღებს. მასლოვის ქუჩა, № 3, სახ. გაბაშვილისა.

◆ **სამღვთო-სჯულის მასწავლებელთა კრება** რამდენიმე სექციად დაიყო. სექციებში ამ ჟამად წინასწარი მუშაობა სწარმოებს. ნამუშევარი საბოლოოდ განსახილველად კრებას წარედგინება.

◆ **ბავშვთათვის მზრუნველ საზოგადოების** წლიური კრება 26 მაისს მოხდა ნ. ფ. სმირნოვის თავმჯდომარეობით. წარსულ წელს საზოგადოებას შემოსავალი ჰქონია 23,000 მ. 99 კ., ხარჯი—ამდენივე. 1913 წლის ხარჯთ-აღრიცხვა, რომელიც ნავარაუდევია 15,000 მ., კრებამ დაამტკიცა. გამგეობის წევრებად კრებამ აირჩია: გ. ვ. დანილოვი, ი. პ. კუდრინსკისა, ჟ. კ. ვეიდენბაუმი და ი. ი. ჩაპლიცი; კანდიდატებად: ი. ა. კოლჩევსკისა და მ. კ. ბელოზერსკისა, სარევიზიო კომისიაში აირჩიეს: ი. ა. ვლადიმიროვი, ნ. კ. კესელინგი, ა. ა. სოლომკა, ო. ნ. იუნგეროისა და ი. ნ. სტეფანოვი.

სასწავლებლებში

◆ **საკომერციო ცოდნისა და უცხო ენათა კურსებზე** (ტ. მ. ფილოიანისა) ეგზამენები დასრულდა. საკომერციო განყოფილება გაათავა 161 კაცმა. ამათში 12 რუსია, 20 ქართველი, 116 სომეხი და 13—სხვა და სხვა ეროვნებისა.

◆ **აქტი საეპარქიო სასწავლებელში.** ორშაბათს, მაისის 27-ს, ტფილისის ქალთა საეპარქიო სასწავლებელში, დილის 10 საათზე, საქართველოს ეგზარხოსის ინოკენტის თანადასწრებით გადახდილ იქმნა პარაკლისი, რომლის შემდეგაც გაიმართა აქტი. ახლად კურსდამთავრებულთ ეგზარხოსმა მიმართა მოკლე სიტყვით, რომელშიაც აღნიშნა საეპარქიო სასწავლებლის მნიშვნელობა და სთხოვა მხნედ გავიდნენ თვისი სამშობლო ქვეყნის მიყრუებულ კუთხეში და მიიტანონ ხალხში ის ნათელი სწავლისა, რომელიც სასწავლებელში შეიძინეს. წელს სასწავლებლის **რვა კლასი** დაამთავრეს შემდეგმა პირებმა: ე. ღვთისავრიშვილმა ოქროს მედლით), ოლ. თეოხარმა (ოქრ. მედ.), ელ. ოქროპირიძემ (ვერცხლის მედლით), ელენე მუსხელიშვილმა (ვერცხლ. მედ.), ან. ჯაჯანაძემ (ვერცხ. მ.), ალ. მიხაილოვამ, სოფ. დამოცევამ, ნ. კასრაძემ, ნ. პრაქსინამ, ო. ბოჩაროვამ, ა. სტამბოლიევამ, პ. გელაშვილმა, ქრ. ბიბილურმა, ლ. ბაზილევიჩმა და ბ. ლოლაძემ. ამათში 8 ქართველია, 4 ბერძენი და 3 რუსი. **ექვსი კლასი** დაამთავრეს და ატესტატი მიიღეს: ალ. თებზაძემ, ქ. მირიანაშვილმა, თ. ხელაშვილმა, თ. ტაბლიაშვილმა, ნ. რამიშვილმა, პ. ფხალაძემ, თ. კიკნაძემ, ბ. ჯიქაევამ, ლ. იგნატოვამ, ალ. დეკანოზიშვილისამ, სწ. კირიაკოვისამ, მ. ბებიაშვილმა, მ. პარკაძემ, თ. ტატუნაშვილმა, ს. სატიროვამ, ს. ელიზბარიშვილმა და ა. თინიკაშვილმა. ამათში 13 ქართველია, 2 ბერძენი, 1 რუსი და 1 ოსი.

ქუთაისი.

◆ 7 მაისიდან ქუთაისის სამეურნეო სკოლასთან გაიხსნა სამეურნეო კურსები. ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორის განკარგულებით კურსებზე გამოგზავნილია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქუთაისის სამოქალაქო სასწავლებლის სამასწავლებლო კურსების მსმენელები რიცხვით 17 კაცი. ეს ახალგაზრდები სოფლის სკოლების მასწავლებლებად ემზადებიან, ახლა კი სამეურნეო კურსებზე თეორიულად და პრაქტიკულადაც სწავლობენ: მევენახეობა-მეღვინეობას, მებაღეობას, მებოსტნეობას, მეფუტკრეობას, მეაბრეშუმეობას, მიწის დამუშავებას და სხვა. კურსების ხელმძღვანელებად სამეურნეო სკოლის მასწავლებლები არიან. მსმენელები დღეში ორ საათს მეცადინეობენ, სწავლაგა გრძელდება 7 ივნისამდე.

სიღნაღი

◆ 19 მაისს, მოხდა სიღნაღის სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობის დამფუძნებელი კრება, რომელზედაც ამოირჩიეს გამგეობის 5 წევრი: თავ. დ. კ. ჩოლაყაშვილი, ი. დ. ფორაქაშვილი, ი. დ. ქიტიაშვილი, გ. ნაცვლიშვილი და კ. ი. ტყავაძე; კანდიდატები: ქლ. ალ. ნათიძე, მღ. ნიკ. ბარნაბიშვილი, და ნ. ვ. მენთეშაშვილი. გამგეობას დაევალა შეიმუშაოს ამხანაგობის სამოქმედო გეგმა და 2 ივნისის კრებას წარუდგინოს დასამტკიცებლად. გამგეობას 22 მაისს კიდევაც ჰქონდა კრება და შეიმუშავა გეგმა.

ქუთაისის ამბები

25 მაისს დაიწყო მორიგი კრება დასავლეთ საქართველოს თავად-აზნაურობისა ქუთაისის მაზრის წინამძღოლის თ-დ კ. ნიჟარაძის თავმჯდომარეობით.

ფიცის მიღების შემდეგ თავმჯდომარის წინადადებით კრებამ მისალოცი დეპეშა გაუგზავნა ხელმწიფე იმპერატორს მოსკოვის დღესასწაულების გამო.

გარდა ამისა თავმჯდომარის წინადადებით ფეხზე ადგომით პატივი სცეს არჩილ ჯორჯაძის ხსოვნას.

შემდეგ ამისა კრებამ განიხილა ნოე იოსელიანისა და ვარადებულ აფაქიძის თხოვნები—პირველი ითხოვდა ცენზიან აზნაურებში შემიტანეო, ხოლო მეორე—თხოვნის აღძვრას უმაღლესი მთავრობის წინაშე, რომ მას სასჯელი ეპატიოს. ორივე თხოვნას კენჭი ეყარა და ხმის უმეტესობით დაკმაყოფილდა.

გაგრძელება კრებისა 26 მაისს.

⁂

ქ-ნ ხოჯევანიშვილის ქალთა სასწავლებელს უფლება აქვს მოპოვებული მოსწავლეთა გამოცდა სამასწავლებლო ოლქის დეპუტატის დასწრებით მოახდინოს. ვინც ეგზამენს დაიჭერს, მთავრობის სასწავლებლის შესაფერი კლასის უფლება ეძლევა.

წელს სასწავლებლის ადმინისტრაციას სხვა გამოცდათა შორის შეუტანია გამოცდა ქართულ წერაში, რადგან შარშანდელ გამოცდის დროს ქართული წერითი გამოცდის ეგზამენის შეტანა ნუსხაში „დავიწყებია" წელს მოუნდომებია თავის დანაშაულის გასწორება და კიდევაც შეუტანია ნუსხაში და გაუგზავნია ოლქში დასამტკიცებლად.

თუმცა ოლქს დაუმტკიცებია ნუსხა, მაგრამ დეპუტატს მიუქცევია ყურადღება იმაზე, რომ ქართული წერის გამოცდა შარშან არ იყო შეტანილი ნუსხაში და წინადადება მიუცია სასწავლებლის გამგისათვის ნურც წრეულს მოახდენთო ამ გამოცდას. როგორც სასწავლებლის გამგეს, ისე საგნის მასწავლებელს ყოველი სიტყვის უთქმელად მიუღიათ დეპუტატის წინადადება და ამნაირად ქ-ნი ხოჯევანიშვილის სასწავლებელში წელს ქართული წერითი ეგზამენი არ მოხდა.

კომენტარიები ქ-ნი ხოჯევანიშვილის და მის თანამშრომელთა მოქმედებას არ ეჭირვება, რადგან თავის-თავად ცხადია, რომ მათ შეგნებული არ ჰქონიათ ის დიდი პასუხის გება, რომელსაც მათ ავალებს ქართული სასწავლებლის ხელმძღვანელობა.

ს. ე. ქ.

ტფ. სათ.-აზნ. საადგილ-მამულო ბანკის რწმ. საზოგადო კრება

კრება დასრულდა 25 მაისს ღამით, შემდეგ ნომერში მოვათავსებთ ანგარიშებს; ეხლა კი ვბეჭდავთ არჩევნების შედეგებს. გამგეობის თავმჯდომარედ არჩეული იქნა თავ. გ. გრუზინსკი (23 თეთ. და 20 შავი კენჭი). გამგეობის წევრობისათვის კენჭი იყარეს თავ. დ. ფავლენიშვილმა (84 თეთრი და 59 შავი) და კ. მაყაშვილმა (81 თეთ. და 62 შავი). არჩეულ იქმნა თავ. დ. ფავლენიშვილი. შემფასებელი კომისიის წევრებად არჩეულ იქმნენ ს. ყაზახაშვილი (117 თეთ. და 26 შავი) და ს. ყიფიანი (80 თეთრი და 60 შავი). მათ კანდიდატად არჩეულ იქნა თავ. ა. ციციშვილი.

ქართული ოპერა

დღეს ქართულ თეატრში ბ-ნი ზაქ. ფალიაშვილი ჰმართავს კონცერტს, რომელშიაც დადგმულ იქმნება მისივე ოპერის „აბესალომ და ეთერის" პირველი სურათი და მესამე აქტი. ამათგან მესამე აქტი უკვე მოსმენილი აქვს ქართველ საზოგადოებას, პირველი კი პირველად იდგმება. ამ რიგად ქართველ საზოგადოებას საშუალება ეძლევა უფრო მთლიანი შთაბეჭდილება მიიღოს ამ საინტერესო ოპერიდან. აბესალომის პარტიას მღერის ბ-ნი ივანე სარაჯიშვილი, მურმანისას—ინაშვილი, ბელიარ ეშმაკისას—ლორთქიფანიძე, ეთერისას—კოლოტოვა.

ვინც კარგად იცის, რაოდენი შრომა სჭირდება ჩვენს ეხლანდელ პირობებში არამც ქართული ოპერისა, უბრალო კონცერტის დადგმასაც კი, ადვილად მიჰხვდება, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამისთანა საქმეში საზოგადოების თანაგრძნობასა და მხურვალე მონაწილეობას. მხოლოდ ამ თანაგრძნობას შეუძლიან გაამხნევოს ჩვენი მოღვაწენი და გაუადვილოს იმ მძიმე ტვირთის ზიდვა, რომელიც უკისრიათ და რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი მუსიკის განვითარების საქმეში.

იმედია ქართველი საზოგადოება დააფასებს ამ შრომას და მით თავის წვლილს შეიტანს ქარული მუსიკის აღორძინებაში.

ილიას სალამო საქალაქო სასწავლებელში

კვირას, 26 მაისს, ილია ჭავჭავაძის სახელობის პირველ-დაწყებით საქალაქო სასწავლებელში (სურფ-ნიშანის ქუჩაზე), გაიმართა სალიტერატურო და სასიმღერო დილა ილიას პატივსაცემლად. პატარა მოწაფეებმა—ქალებმა დ ვაჟებმა—გრძნობითა დ შეგნებულად წარმოსთქვეს ილიას ლექსები ქართულად და რუსულად; იმათგანვე შედგენილმა პატარა გუნდმა მშვენივრად აასრულა რამდენიმე ქართული და რუსული სიმღერა ილიას სიტყვებზე. დილამ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა ყველა დამსწრეებზე. როგორცა სჩანს, სასწავლებლის გამგეს და მასწავლებელთ შრომა არ დაუზოგნიათ და სკოლა შესაფერისს მდგომარეობაში ჩაუყენებიათ. აღსანიშნავია ბ. ნ. კავსაძის ენერგიული მუშაობა: სულ ოთხი თუ ხუთი თვეა თურმე ასწავლის ამ სკოლაში სიმღერას და მშვენივრად გაუწრთვნია ბავშვები.

დილას დაესწრნენ: ქალაქის თავი ა. ი. ხატისოვი, სასკოლო კომისიის წევრი ხმოსანი ხუნდაძე, სხვა საქალაქო სკოლების გამგენი და მასწავლებელნი და გარეშე პირნიც. სკოლის გამგემ, ქ-ნმა მარ. წერეთლისამ, საუზმეზე მიიწვია სტუმრები, რომლის დროს ქალაქის თავმა სიტყვა წარმოსთქვა და მადლობა გადაუხადა მასწავლებელთ შრომისა და ნაყოფიერ მოღვაწეობისათვის.

მიწის საკითხი ზემო ქართლში

1.

ნადელების გამოსყიდვა.

დაიწყო ნადელების გამოსყიდვა. 26 აპრილს, ოსიაურში მომრიგებელ-შუამავალთან ატოცის და ალის საზოგადოების დროებით ვალდებულნი გლეხნი და მემამულენი მიწვეულნი იყვნენ ნასყიდობის ოქმების შესადგენად და გამოსაანგარიშებლად ფულის რაოდენობისა. უნდა წარედგინათ ორთავე მხარეს დასამტკიცებელი საბუთები.

ატოცის საზოგადოების დროებით ვალდებულმა გლეხებმა გამოსყიდვაზე უარი განაცხადეს და საბუთად ის მოიტანეს, რომ ჯერ ერთი—მათი მამულები მეტად არის შეფასებული, ესე იგი,—69 მან. დესეტინა, მეორე, ნახევარი ნადელი მათი საკუთრებაა და მხოლოდ მეორე ნახევარი უნდა შეისყიდონ.

მომრიგებელ-შუამავალმა, თანახმად კანონისა, საერთო გლეხების განცხადებას ყური არ ათხოვა და შეადგინა საანგარიშო ფურცლები

29 აპრილის სოფ. ბერძენაულში ოქონის საზოგადოების დროებით ვალდებულნი გლეხნი და მემამულენი მომრიგებელ-შუამავალმა მიიწვია ამავე მიზნით.

მომრიგებელ-შუამავალი შენიშვნის ღირსია, რომ შესაფერი ადგილები არა ჰქონდა არჩეული ხალხის მიწვევისათვის.

ხალხი ბლომად შეიყარა. დილითვე საქმის გარჩევას შეუდგნენ.

მომრიგებელ-შუამავალმა გვამცნო, რომ ხარჯთ-ამკრები კომისიისაგან შემდეგი სოფლის ნადელების მალიბის ამრიგადაა შეფასებული:

1) თერეგვნის, ხუნდის-უბნის, თილვის, მუღრისის, ტყის-უბნის, სუნისის, შინდარიხ და კნოლეს სახნავი მიწები დესეტინა 31 მან. ფასობს.

2) ნაბაკევისა—42 მან.

3) ოქონისა ურწყავი—42 მან. და სარწყავი—49 მან.

4) ახალშნისა, ავლევის, ცეროწისის, თამარაშნის და ავნევის ურწყავი—67 მან. და სარწყავი 69 მან.

სოფ. ახაშენი თერეგვნის და ხუნდისუბნის შუა მდებარეობს, ღირსებით ახაშენის მამულს თერეგვნის მამული სჯობიან, თერეგვნის მამულს კი ხუნდისუბნის მამული სჯობიან, აგრედვე თილვისა და ტყის უბნის მამულები სჯობიან ახალშნის მამულსა.

თვით ამ სოფლის სახნავი მამულები მომეტებული წილი ურწყავია და რიყის ქვითაა მოდებული. რადგან ახალშნის მამული სხვა სოფლებზე ღირსებით ყველაზე ნაკლები ყოფილა, ხარჯთ ამკრებ კომისიას ნაკლებ უნდა შეეფასებინა.

კაბინეტებში მამულის შეფასებამ ეს შეცდომა მოიტანა, 31 მანეთის მაგიერ 67—69 მან. შეაფასეს.

ახალშნის დროებით-ვალდებულ გლეხებმა ეს უსამართლობა განასაჩივრეს, მიაღწევენ თუ არა მიზანს, ეგ ღმერთმა იცის.

ხარჯთ-ამკრებ კომისიაში მონაწილეობას იღებენ ხოლმე: ხარჯის ამკრები ინსპექტორები, თ-დ.-აზნ. წინამძღოლი და მომრიგებელ-შუამავალნი.

ესენი მხოლოდ თავიანთი შეხედულობით აწესრიგებენ ხარჯის გაღებას და ბევრი შეცდომა მოსდით, როგორც მაგალითად ზემოხსენებული სოფ. ახალშნის შეფასება არის.

რომ ცოტათი მაინც ასცდნენ ამ შეცდომებს, ყველა რაიონიდან უნდა იყვნენ მიწვეულნი მცოდნე პირნი ხარჯთ-ამკრებ კომისიის კრებებზე დ ამ მცოდნე პირებს ანგარიში უნდა გაუწიონ ხოლმე.

ბევრს დროებით ვალდებულ გლეხს შინაურის ხელწერილით ამ ორმოცა და ოცდაათი წლების წინად შესყიდული ჰქონიათ ვენახები, ან თითო ნაჭიერი მიწა, ან მოცვლილი ჰქონიათ ერთმანეთში.

მომრიგებელ-შუამავალი არ ღებულობს ამ შინაურ საბუთებს, აგრეთვე მებატონის სიტყვიერ განცხადებას შესყიდვის შესახებ და გვითითებს კანონზედ, რომ მე არ შემიძლიან მაგნაირი საბუთების მიღებაო.

— მაშ როგორ ეშველება საქმეს?

— წინდაწინვე უნდა შეცდილიყავით.

— როდის უნდა მოგვესწრო, სულ არ არის ოთხი თვე?

— ?!...

სახუმარო საქმე არ არის. თუ ნადელების გამოსყიდვის ოქმები დგება, ერთი შუამავალი ვერას გახდება და ბევრი შეცდომებიც მოჰყვება. მთელი კომისია უნდა იყოს შემდგარი.

შესაძლებელია ამ ლიკვიდაციის შემდეგ გლეხებსა და მემამულეებს შორის უფრო გამწვავდეს ურთიერთობა, თუ მხედველობაში არ იქნება მიღებული შინაური ხელწერილები და ნასყიდობის ქაღალდები. გარდა ამისა, რადგანაც გლეხები მესაკუთრეები ხდებიან, ამის შემდეგ მემამულენი საძოვარში აღარ გაუშვებენ, როგორც დღემდის უსასყიდლოდ სარგებლობდნენ. ამიტომ საჭიროა საძოვრების და საბალახეების მოწესრიგება.

ყველა სოფლები სახლის ადგილი შეფასებულია დესეტინა—100 მან., ვენახი—138 მან. და სახნავი ღირსებისამებრ. ვენახში თუ ვაზი მოსპობილია, პირველ ხარისხის სახნავათ ითვლება და ფასობს დეს.—69 მან.

ჩემ მიერ შეკრებილი ცნობებიდან დაინახავთ, რამდენად მცირეა ის ნადელები, რომელიც მიეცა ამ ორმოცდაათი წლის წინათ გლეხებს. ეს ცნობები შეიძლება ზოგისა ნამდვილი არ იყვეს, დანამდვილებით კი შეიძლება ითქვას, რომ ზედმიწევნით არის ნაჩვენები; მომეტებული სოფლებისა კი, ოფიციალური ცნობებად არის ამოკრებილი.

ნადელების ცხრილი:

სოფლები:	მთელი სოფლ. ზომა.	სახლ. ადგილი		ვენ. ხი.		ს ხნავი		სოფლის შეფასება თითო დეს	ჯამი ნადელ. ფასებ	მონადელე კომლი
		დესეტინ.	ოთხკ საჟენ.	დესეტინა.	ოთხკ საჟენ.	დესეტინ.	ოთხკ. საჟენი			
	დეს.							მან. კ.	მ. კ.	
თერეგვანი .	450	1	1550	4	250	50	1800	31	2250	23
ახალშენი .	430	2	1500	3	1800	62	900	67—69	4673	36
ხუნდის უბანი	442	2	2100	6	1700	77	1500	31 —	3421 25	61
შინდარა . .	53		600	1	1200	30	1800	31 —	1285 25	19
გიორგი წმინდა	385	1	—	—	—	—	—	— —	—	—
ნაბაკევი . .			—	—	—	—	—	42 —	—	—
სუნისი . .	126	2	380	2	1300	18	1000	31 —	1136	20
მუღრისი . .	500	—	600	—	1200	9	600	31 —	38 75	6
ტყის უბანი .	161½	—	850	—	1410	8	940	31 —	—	3
ოქონა . .	644	5	1800	8	1650	110	1800	42—49	6478 75	75
კნოლე . .	488	2	1500	4	300	40	2100	31 —	2112 75	32
ავლევი . .	958½	—	—	—	—	—	—	67—69	—	—
თამარაშენი	747	1	900	2	900	55	900	67—69	4240 75	20
ავნევი . .	1500	—	1290	1	1730	52	990	67—69	3860 50	—

ხუნდის უბნის ნადელები რომ გაუნაწილოთ 61 კომლს, თითოს შეხვდება 2¾ დღიური მიწა.

თერეგვანში კი თითო კომლზედ მოდის 5 დღიური. ეს ციფრები გვაჩვენებენ, რომ თერეგვნის დროებით ვალდებულნი გლეხნი უფრო უკეთეს პირობებში უნდა იყვნენ, ნამდვილად კი აგრე არ არის. მათ ცხოვრებას და გარემოებას თუ ჩაუკვირდებით, ბევრს რამეს ამოვიკითხავთ. თავდაპირველად მათ შორის ბევრი ოჯახია ამოწყვეტილი და დღევანდელ ეკონომიურის მიზეზებისა გამო 23 კომლი ძლივს ლონღიალობს.

მათ ჩამონაჭერ მიწებზედ მებატონეებმა დაასახლეს ხიზნები და ამავე ხიზნებმა ეკონომიურის მხრით დროებით ვალდებულნი გლეხნი დაიმორჩილეს, მათი მამული ფულის სარგებელში დაიგირავეს და მათი სარჩო-საცხოვრებელი ხიზნების ხელში გადადის.

დროებით ვალდებულ გლეხებს აღარსაით გასაქანი აღარ აქვთ და სილატაკეში სული ძვრებათ.

სოფლები თერეგვანი, ახალშენი, ხუნდის უბანი, მუღრისი ჯერ გამიჯნული არ არის და ნამდვილი ცნობები არ შეიძლება მამულის რაოდენობისა, რაც დღეს ნადელი და ნადელ გარეთ უჭირავთ დროებით ვალდებულ გლეხებს. დანარჩენი სოფლები კი გამიჯნულია.

სხვათა შორის როგორც ზემორე ცხრილიდან სჩანს სოფ. ოქონაში დროებით გლეხებზე ირიცხება უსტავნი გრამოტებით სულ 125 დეს. 450 ოთხკ.-ს. ეს ნადელები გამიჯნულია და დროებით ვალდებულ გლეხებზე არის შემოყორღნილი და ირიცხება 188 დეს. 1170 ოთხკ. საჟ.

ცხოვრება და ხელოვნება

ჩვენი ახალგაზრდა მწერლები

IX*)

რასაკვირველია ამ მგოსნის სიყვარული, რომლის ცხადლივი სიმბოლო „კოცნა" ფრიად ხორციელისა და რეალურის სიტყვით გამოხატა — სრულიად მიწიერია, ისეთი, როგორიც ის არსებობს ჩვენს ცხოვრებაში, როგორც მძლეთა-მძლე ინსტინქტი სქესებრივი, ყოველ-ნაირად ადამიანისაგან გალამაზებული და გამშვენიერებული მას სულიერი განყენებული არა იზიდავს რა ამ გრძნობაში, აქ „მგრძნობელობას" უჭირავს პირველი ადგილი, მაგრამ შიგ არა არის რა პირუტყვული, არა არის რა ადამიანის დამამცირებელი. წინააღმდეგ იგი ძალზე წინ აყენებს ფიზიოლოგიას, ხორციელებას, მაგრამ მას ყოველივე მწიკვლისაგან განწმენდს და იმ ადგილს მიუჩენს, რომელიც ეკუთვნის მას ადამიანთა კავშირში. შეიძლება ხანდისხან ხორციელი მხარე მწვავედაც იყოს გამოსახული და გამოთქმული, ეს სრულიადაც არა ჰქმნის მას ბინძურ რამედ, იგი ყოველთვის სიძვაზე შორსა სდგას და მათ შორის ყოველთვის „დიდი ზღვარია"

„სატრფოვ გულისავ
შენც გამიღიმე,
ამაყო, ლაღო,
ტრფობისა მუზავ
ედემის ბაღო
შენს სანეტაროდ
და შენს საამოდ
ცრემლად დავდნები
მტლად დაგედები...
შენზედ ვლოცულობ და ვიბრუნებ სულს
შენ გულ-მკერდ ბროლზე...
ვივიწყებ ტანჯვას, ვივიწყებ წარსულს
თავს განაცვალებ
ოღონდ მაჩუქე ეგ შენი ბაგე"
„შენი ჭირიმე! *)

აქ თავგანწირულებაც არის, სიმაღლე და სიფაქიზე გრძნობისა, მაგრამ არაფითარი განყენებული, გაჰეროვნებული, უსისხლ-ხორცო ტრფიალი არ უდევს საგნად ამ სურვას. იგი ვნების გამოწვეულია და ამ კანონიერს მოთხოვნილებას უნდა აკმაყოფილებდეს. დიაღ, მტლად დაედება, სატრფო სიცოცხლეს. დიაღ, თავს ანაცვალებს, დიაღაც ცრემლად დადნება, მაგრამ სამაგიეროსაც მოითხოვს მის გულმკერდზე სულის მობრუნებას და მის ბაგეთა ჩუქებას

„ქოჩორს გვარცხნიდა ნიავი ქურდი,
ტკბილ ოცნებაში გაგეპო ბაგე,—
ახ, რომ იცოდე, რა რიგ მომწყურდი
ახ, რომ იცოდე, რა რიგ დამდაგე"

იგივ ხორციელება, იგივ წყურვილი სიყვარულის საგნისა, იგივ „გაპობილი ბაგე" მგოსნის დამათრობელი, მისი ღვთაებრივის ეშხით მომწამვლელი—აი გრიშაშვილის გულახდილი, წრფელი განმარტება მიჯნურობისა. მის სატრფოს

„დილით ცის ნამი
მკერდზე ეხვევა,
კოცნის, იხუტებს,
ცრემლად იფრქვევა
ოქროს ფრთიანი
ანცი პეპელა
მის ლბილ ტუჩებზე
ბაასობს ნელა
კორდით მომსკდარი
წყარო ოცნება
შესცინის, პირს ბანს
თავსა ევლება...
ახ, თვალის ჩინო,
შენი მოწყვეტა
რომელ მებაღეს
ერგება ნეტა" („სატროფოვ ყვავილო")

აქაც სურათია „კოცნისა" რეალურად გამოთქმული და მხატვრულ კალმით დასურათებული, აქაც სურათია სამიჯნურო კავშირისა, სადაც მგოსანი მებაღეა, რომელმაც უნდა მოსწყვიტოს ყვავილი. და მას მოეხვიოს, კოცნოს, ჩაიხუტოს, მის ლბილ ტუჩებზე იბაასოს ნელა, თავს შემოევლოს

„ნუ მეუბნები, ჩემო მნათობო,
შენ დაგივიწყო, სხვა შევიყვარო
ნუ მომშორდები, ვარდო კოკობო
ქანც-მილეული
მკერდს მიმისვენე
ჩემო ღვთაება,
ტანჯვა, ვაება,
მეყო გენაცვა... აწ მომასვენე
ფერფლად ქცეული
მწირი ეული
ფრთებ მომტვრეული
გაბრუებული
შენსკენ მოვფრინავ
არ გებრალები?
მტრედო ღუღუნავ
გენაცვალები". („არ გებრალები")

„ქანც-მილეული", „გაბრუებული" აქაც ისევ და ისევ ვნებათა ღელვაში ჩაფლვაა, სურვათა მიერ დათრობა, გრძნობათა მიერ მოჯადოება. თუ ჩააკვირდებით ჩვენს პოეზიას დამეთანხმებით, რომ ასეთის ვნების ენით არ ულაპარაკია არცერთს ჩვენს მგოსანს. არც ერთს მათგანს არ უკისრია სიყვარულის „მგრძნობელობა" ასე ნათლად, ასე სავსებით ჩვენთვის დაენახვებინა. იგი „ვით შველის ნუკრი" სატრფოს წინა რბის, „ვითა ფოთოლი ვნებითა თრთის", „ტრფობით ალვსილი თავს დაჰხარის მას"

მაგრამ „მგრძნობელობის" სიმწვავისა და სიცხოვლის გამოსახვა სრულიადაც არ უშლის ხელს მგოსანს ღრმად გაიმსჭვალოს ტრფიალების გრძნობით, ერთ რამე წმიდათა-წმიდად იგიც აღიაროს და დაისახოს, მას სრულიად სერიოზულად შეჰხედოს. ვინც ვერ გაითვალისწინებს ამ თვისებას გრიშაშვილის ლექსისას, ვინც ვერ შეიგნებს ამ დედააზრს მისი ქნარისას—იგი თავის დღეში ვერ შეითვისებს მის ლექსებს, მისთვის ეს ღრმა და ძლიერი ეროტიული ლირიკა უცხო ხილად დარჩება და ყოველთვის წარმართი შეხედულება ექმნება მის შესახებ.

„ჩემო სიცოცხლევ! გული ბედკრული
შენსკენ მოილტვის, ტრფობით აღძრული,
მსურს ზედ დაგაკვდე ნაზს, მოელვარეს
შენს სურნელოვან მარჯნის ფერ ბაგეს
„...ოღონდ მითხარი ერთხელ:
„მიყვარხარ"
და მერე თუ გინდ გულს ლახვარი მკარ".

ყოველთვის მგოსანი სიცოცხლის ბადლად ხდის სიყვარულის თანაგრძნობას, მაგრამ იგი თავის დღეში არ დაკმაყოფილდება განყენებულის უშინაარსო გრძნობით, მას უნდა, რომ სიტყვას „მიყვარხარ" თან სდევდეს „სურნელოვან მარჯნის ფერ ბაგის" შეხება, მას სურს რომ სიტყვა „მიყვარხარ" თან ერთად „ზედ დააკვდეს, ნაზს, მოელვარეს". მართალია ამ ერთის აქტისათვის ის მზად არის სიცოცხლე განიწიროს, მაგრამ ეს სწორედ იმიტომ, რომ სქესებრივი კავშირი მას მიაჩნია მეტად დიად ტრფობის მოვლენად, თავისებურ ექსტაზად, რომლის დროსაც საიდუმლო და გამოუცნობელი საგრძნობელი და ხელმოსაკიდებელი ხდება, თვით უფრო მიუწდომელი მოვლენა უდიადესის ბედნიერების მიწდომა და შექმნა ცხოვრების დასაწყისისა. ნურავინ ნუ დაივიწყებთ

„თუ სამოთხის ღმერთთა კოცნამ
ვით აღზარდა ეს ბუნება"
და „თვით სატანაც კოცნას ეძებს,
კოცნა ეძებს სიყვარულსა".

ამიტომაც არის, რომ თუ კი სატრფო უბრძანებს „სიკვდილს ღიმილით ჩაეხვევა". ამიტომაც არის, რომ გრძნობის გაღვიძებასთან ერთად მთელი მისი სულიერი არსება მკვდრეთით აღდგება

„ისევ ვუყვარვარ... ვეხვევი...
ვსტკბები
კვლავ მკვდრეთით აღსდგა რწმენის სიმბოლო,
ვლაღობ, ვნავარდობ, ვეთამაშები
დ ჩემს სიყვარულს არა აქვს ბოლო". (იხ. „ისევ ვუყვარვარ").

„ისევ უყვარს", ეს უეჭველი გამომხატველია მისი, რომ იგი თავის სატრფოს „ეხვევა, სტკბება" და ამით იგი სიხარულშია, თამაშობს, ლაღობს, ნავარდობს. სიყვარული და სიხარული, მგრძნობელობა და ლაღობა, ნავარდობა, თამაშობა, ეს მგოსნისათვის განუშორებელი რამ არის. მან სავსებით მისწვდა ყოველივე სიტკბოს, რომელიც თან სდევს გრძნობას სიყვარულისა და მიჯნურობისას, სავსებით შეიგნო ბედნიერება, რომელიც თან სდევს სქესებრივ ინსტიქტს ადამიანისაგან მაღალ გრძნობად „მგრძნობელობად" გარდაქმნილს. მხოლოდ ხორციელი ურთიერთობა, მხოლოდ ფიზიოლოგიური კავშირი, არის ნიადაგი ორ რწყვილთა სულის განწყობილების გამოსააშკარავებლად, მხოლოდ პირველი ხდება უკანასკნელის განმავითარებელ, განმაცხოველებელ ძალად.

„სულში ჩავიქსოვ ვარსკვლავთა ციალს
სუნთქვით შევბოჭავ ღრუბელთა სრიალს
იცხოვრებ ჩემში... გეპკურვი მეც მტლად,
მენდე შენს მკობელს, მენდე შენს ტრფიალს
გარდავქმნი სულ მთლად
მსურს ზღვის ფერიად, ღმერთად გიწამო
მსურს ვეამბორო, შენ ფერხს, შენს კალთებს
წამომყევ... წამო! („ასცილდი საზღვარს")

არსად მას არ წამოსცდენია ერთი სიტყვაც, რომელიც ამ გრძნობას მეტად სერიოზულ მეტად დიდ რამედ არა სთვლიდეს, არსად ერთი წერტილიც, რომელიც ნებას აძლევდეს ვისმე ძლევამოსილი ინსტინქტი სქესისა სახუმარო და სასაცილო საქმედ მიიჩნიოს. გრიშაშვილმა შემოსა ეს გრძნობა სრულის სიწრფელითა და სრულის სიდინჯით მან სავსებით იგრძნო იდუმალი ძალა ამ მოვლენისა და თუ გნებავთ მან უმაღლეს საფეხურამდის აიყვანა აქტი სამყაროს შემქმნელი, მან იგი ღვთაებას დაუდარა და პირველ მიზეზად აღიარა

„ლერწამი ხარ ტბის ასული.
ცად ასული, ატყორცნილი,
მყინვარი ხარ საოცნებო, მზის სხივთაგან დაკოცნილი,
და დღეს, როცა სიო ფრთხილი
ოქროს ქოჩორს გიხუჭუჭებს
ეს მიტომ, რომ ვითა რთვილი
მე ვადნები შენსა ტუჩებს...
იცი ეგრე სანთელივით
ვნების ცეცხლზე რად დამდნარხარ
ეს მიტომ, რომ გმოსავ სხივით,
ეს მიტომ, რომ მე მიყვარხარ"
(ლერწამი ხარ ტბის ასული")

მთელი ჰარმონიული ხორო ბუნებისა მგოსნის გრძნობათა მოციქული და მახარებელია. მთელი ბუნება ხარობს, მთელი ბუნება ხელს უწყობს პოეტს მისი გრძნობა განსახოს, განახორციელოს. აქ ბუნება სრულიადაც არ თამაშობს უბრალო დეკორატორის როლს, რომელსაც უნდა მგოსანს მოუწყოს კარგი სცენა, თავის გრძნობა ია კომედიის

---

*) იხ. „სახ. გაზ." № 902.

*) „სამი ხმა" იხ. კრებული „ოცნების კოცნა" გვ. 18.

აგრეთვე სოფ. კნოლეშიაც დროებით ვალდებულ გლეხებს უსტავნი გრამოტებით უჭირავთ 47 დეს. 1500 ოთხკ. საჟ, გამიჯვნით კი ირიცხება—71 დეს. 1370 ოთხკ. საჟ.

ყველა სოფელში ამისთან განსხვავება არის, უსტავნი გრამოტების ნადელების რიცხვს ეხლანდელი გლეხების ფლობელობა აღემატება.

ნადელები სოფ. თერეგვნისა, ახალშნისა, ხუნდისუბნისა, ოქონისა, კნოლისა, ცერონისისა, გიორგიწმინდისა, მუღრისისა, თამარაშნისა და ავნევისა ეკუთვით თ-დ. ფალავანდიშვილებს და მათ მონაწილეებს. მთელი მათი ნადელი შეიცავს ზომით 660 დეს 520 ოთხკ. ს., ამათი ფასი ვარაუდით შეადგენს 36,813 მან. 75 კ.

მთელ საფალავანდო მამულზედ „ნალოგი“ ირიცხება 20,000 მანეთამდის, „პრიკაზის“ ვალიც იქნება—5,000 მან.

ანგარიშით ნადელების ფულიდან ეს ვალი უნდა დაიჭრან, როდესაც ბანკები გაუსწორდებიან, მხოლოდ თავ. ფალავანდიშვილებს და მათ მონაწილეებს ექნებათ კიდევ მისაღები—11,813 მ. 75 კ.

ზოგზედ იმდენი „ნალოგია“ შემდგარი, რომ ნადელების ფული ვერც კი აუთავდება.

აი ამის გამო ჯერ არავითარ გადაწყვეტილებას არ დაადგნენ კერძოდ თავ. ფალავანდიშვილები, რამდენი გაიღონ და რას მოახმარონ ნადელების ფულიდან. მხოლოდ კერძოდ ჰქონდათ მოლაპარაკება და სურვილიც გამოსთქვეს, თუ რომ ვალში არ დაუჭერენ, გაიღონ ერთი მეხუთედი ქართული გიმნაზიის ვალის გასასტუმრებელ თანხის დასაარსებლად.

Legatus.

მუშათა ცხოვრება

◆ „ბათუმის გაზეთს“ სწერენ ფოთიდან: როგორც იქმნა აქაურ ნოქრებსაც ეღირსა 12 საათის სამუშაო დღე. ამ ჟამად მაღაზიები აქ დილის 7 საათზე იღება და საღამოს 7-ზე იკეტება, კვირა-უქმე დღეებში მთელი დღე დაკეტილია. ეს დადგენილება ზოგიერთ ვაჭრებს არ ესიამოვნათ და ქალაქის საბჭოს მიმართეს შემდეგი თხოვნით: ეს დადგენილება ჩვენ ძლიერ უხერხულად მიგვაჩნია და ვთხოულობთ ეს საკითხი ხელ-მეორედ განიხილეთ და ნება მოგვეცეს დილის 7 საათიდან საღამოს 9-დი ვაჭრობისა. უქმე დღეებში კი 12 საათამდიო. ამ თხოვნის ინიციატორები არიან ბ. ბ. ო. ჟ-ა და ბ. მ-ე. მაგრამ საბჭომ მათი თხოვნა უყურადღებოთ დასტოვა. თუმცა სავალდებულო დადგენილების ძალით მაღაზიები 7 ს. დაკეტილი უნდა იყოს, მაგრამ მიუხედავათ ამისა, ზოგიერთი ვაჭრები თავისას არ იშლიან და ღამის 9 საათამდი მიხურულ კარებში ვაჭრობენ. ნოქრები მათი „ყურ მოჭრილი“ მონა გამხდარან და ხმას არ იღებენ. საჭიროა და დროც არის თვითონ შეგნებულმა ნოქრებმა მიაქციონ ყურადღება ასეთ მოვლენებს.

◆ სალონიკის მუშათა კორპორაციების კავშირმა სოფიისა და ბელგრადის მუშებს წერილით მიმართა, რომელშიაც აღნიშნავს, რომ ეროვნულმა შოვინიზმმა შესაძლებელია გააქარწყლოს განმათავისუფლებელი ომის შედეგები და დიდს განსაცდელში ჩააგდოს ბალკანეთის ერები. წერილი მოუწოდებს მუშებს, რათა გავლენა იქონიონ მმართველ წრეებზე და ხელი შეუშალონ ომს მოკავშირეთა შორის.

◆ პეტერბურგში ბალტიის ხომალდების ქარხნის მუშებმა წარმომადგენლები გაუგზავნეს ადმინისტრაციას ზოგიერთ ეკონომიურ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. მუშებს უარი უთხრეს, რამაც გამოიწვია მუშაობის შეჩერება. ამის გამო დაატუსაღეს ერთი წარმომადგენელი და ორსაც პოლიციელები მიუყენეს სახლებში. ეს რომ გაიგეს, გაიფიცა გემების განყოფილებაში 2700 მუშა. მეორე დღეს ქარხნის ადმინისტრაციამ 2500 მუშა ადგილიდან დაითხოვა. ყველა განყოფილების მუშებმა კრებები გამართეს და გადაწყვიტეს, მხარი დაუჭირონ დათხოვნილებს, ხოლო მოუცადონ სათათბიროს წევრების ბადაევის და სკობელევის პასუხს, რომელთაც დეპეშით მიმართეს საზღვაო მინისტრს და შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგს, მომხდარ ამბების შესახებ.

◆ პეტერბურგის „ფენიქსის“ მანქანების ქარხნის 25 მუშა პოლიციამ ას—ას მანეთით დააჯარიმა კრებაში მონაწილეობისათვის. მუშებმა გადასწყვიტეს პროტესტის ნიშნად გაფიცვა მოახდინონ და სთხოვენ სათათბიროს სოციალ-დემოკრატ წევრებს შეკითხვა შეიტანონ სათათბიროში, რომ პოლიცია არ ერეოდეს მშვიდობიან ეკონომიურ გაფიცვაში.

ქართულ სახალხო წარმოდგენების წრე

(წერილი რედაქციის მიმართ)

ვინც კი ტფილისის სახალხო თეატრის საქმესთან დაახლოვებულია, ადვილად დამეთანხმება, რომ სახალხო წარმოდგენების მართავის საქმე ვერ არის დაყენებული სათანადოდ, რომ სახალხო წარმოდგენების მმართველი წრეების გამგეობები ერთნაირად ვერ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას და თვითეული წრის გამგეობას საკუთარის გეგმით, ან, უკეთ რომა ვსთქვათ, უგეგმოდ მიჰყავს საქმე.

ამიტომაც სახალხო წარმოდგენების მართვის საქმე ძალიან უფერულად მიმდინარეობს, და თუმცა მართალია, დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც სახალხო თეატრის საქმემ საპატიო ადგილი მოიპოვა ჩვენი კულტურის სფეროში, მაგრამ მაინც შესამჩნევია ის გარემოება, რომ იგი ერთ წერტილზეა გაყინული და წინ ვერ წაწეულა.

ყველაფერს ამას, რა თქმა უნდა, აქვს თავისი ღრმა მიზეზები, საერთო მდგომარეობაზე დამოკიდებული, მაგრამ ამასთან ერთად არიან მიზეზებიც, ასე ვთქვათ, ტეხნიკური, ანუ შინაური მოუწყობლობა და აუცილებელი ნაკლულევანებანი, რომელთა თავიდგან მოშორება, ცოტაოდენი გარჯით, შესაძლებელია.

შესაძლებელია, მაგალითად, ის, რომ ტფილისში არსებული სახალხო წარმოდგენების მმართველი წრეები (ზუბალაშვილის სახლი, ნაძალადევი, ავლაბარი და ხარფუხი) შეკავშირდნენ ერთმანეთთან და წარმოდგენების მართვის გასაუმჯობესებლად შეიტანონ ამ სერიოზულ საქმეში საჭირო მთლიანობა.

ამ მიზნით მე საჭიროდ მიმაჩნია ვსთხოვო სახალხო წარმოდგენების ოთხივე მმართველ წრეებს, რომ მათ ამოარჩიონ ამისთვის წარმომადგენლები და რამდენჯერაც ეს საჭირო იქნება გამართონ თათბირი იმ საკითხების შესახებ, რომელიც შეეხება როგორც თვითოეულ წრეს კერძოდ, ისე ყველას—საერთოდ.

ამასთანავე ვსთხოვ, ვისაც კი ეს საკითხი აინტერესებს, გამოსთქვას თავისი აზრი პრესის საშუალებით და ნათელ ჰყოს ის, რაც სხვებისთვის გამოურკვეველია.

ხარფუხის წრის თავმჯდომარე გ. მ. შათირიშვილი.

აფორიზმები არჩილ ჯორჯაძისა

პლატონი, არისტოტელი, სოკრატი, ეპიქტეტი, მარკუს ავრელიუსი და მრავალი სხვა მოაზრე თუ კაპიტალიზმის ხანაში არა სცხოვრობდნენ, ამიტომ იყო, რომ ჩაუღრმავდებოდნენ აზრის სიღრმით, სიფართოვით და კეთილ შობილობით კაპიტალისტურ ეპოქის პატარ-პატარა დოკტრინიორებს და დემაგოგებს, ან თუნდ თანამედროვე დიდ ფილოსოფოსებსაც და მეცნიერებსაც.

◆

როდესაც ადამიანის ტვინში ჩაწვეთილია რაიმე რწმენა, ამ რწმენას ისე ადვილად ვერ აღმოფხვრით. და თუ რომელიმე აზრი რელიგიოზურ ხასიათის ნიშნებს ითვისებს, აზროვნების საქმე დაკარგულია.

ქართული ისტორიის ერთი პრობლემის გამო

ცნობილია, რომ სახელი იბერი პომპეუსზე ადრე არც ერთ მწერლის ნაწერებში არ გვხვდება. ეჭვს გარეშეა, იგი დასავლეთის მწერლობაში მხოლოდ პომპეუსის კავკასიაში ლაშქრობის შემდეგ შევიდა ხმარებაში. ამისდა მიხედვით კიპერტის აზრი, რომ ეს სახელი პომპეუსის მდივნის თეოფანეს წყალობით გადინერგა დასავლეთით, უფრო მართალი უნდა იყოს. საიდან წარმოსდგა ეს სახელი? ან რა სახელს ატარებდა უფრო წინად აღმოსავლეთი საქართველო? ამ კითხვებზე საბოლოო გადაწყვეტილი პასუხი არ მოგვეპოვება, მიუხედავად რამდენიმე საყურადღებო ცდისა მათ გადასაჭრელად.

საკვირველი ის არის, რომ ეს თითქოს პომპეუსისგან აღმოჩენილი იბერია, არც მოხეტიალე ტომის ბანაკს წარმოადგენდა და არც უმნიშვნელო პროვინციას, რომ იგი სრულიად არა სცოდნოდათ პირველ საუკუნემდე. პირ-იქით, როგორც პომპეუსის დროს, ისე საერთოდ იმ ხანაში, რომელსაც ეს დიდებული სარდალი ეკუთვნის—ეს ქვეყანა უზარმაზარ სამეფოს წარმოადგენს, რომლის მცხოვრებთ დიდი ხანია გაუვლია სოციალური ჰომოგენიის ხანა და ერთგვარ საზოგადობრივ დიფერენციაციამდე მიუხწევია. ეს დიფერენციაცია მარტივათაა ჩამოყალიბებული მთელი საზოგადოების ოთხ წოდებად დაყოფაში. თვით საზოგადოების ეკონომიურ ბაზას მეტად განვითარებული მიწათ-მოქმედება წარმოადგენს, მაგრამ მასში გაყვავებულია მოქალაქეობრივი ცხოვრებაც და მასთან დაკავშირებული ვაჭრობა მრეწველობაც. ასეთია საერთოდ პომპეუსის დროის იბერიის სურათი. ეჭვს გარეშეა, იმ ერის ისტორია რომელსაც ამ საფეხურამდე მიუღწევია, არც წლებით განიზომება და არც საუკუნეებით, არამედ ათასი წლებით. და მართლაც, თუ უფრო შორს წავალთ და არქეოლოგიის შევეკითხებით ამ ქვეყნის შესახებ, ისიც დანამდვილებით გვეტყვის, რომ ამ ტერიტორიაზე ქრისტეს დაბადებამდე ათასი წლების წინაც მეტად მაღალი კულტურა ყოფილა. მაშასადამე ის კითხვა, თუ რატომ გამოდიან პომპეუსი და მისი მდივანი ამ ქვეყნის (თითქოს) აღმომჩენებად, კიდევ უფრო მწვავე ხდება ჩვენთვის. მე მგონია, რომ ვინც ამ კითხვას დაჰკვირვებია და ზემო-აღნიშნულიც მიუღია სახეში, მისთვის თავის-თავად ცხადი უნდა იყოს შემდეგი: იბერია არსებულა კიდეც და ცნობილიც უნდა ყოფილიყოს პომპეუსამდე. მხოლოდ ცნობილი სხვა სახელით, რომლიდამაც უნდა ვიფიქროთ, თვით სახელი იბერიც წარმომდგარა; რომლის სახელიდამ-ღა წარმოსდგა იბერი? თუ ამ კითხვას ჩვენს პატივცემულს მეცნიერებს მარს და ჯავახიშვილს დაუსვამთ, ესენი ერთის მაგიერ რამდენიმე ასეთს სახელზე მიგვითითებენ. თუ არ ვცდები, მათი მტკიცებით, სახელები იბერი, ივერი, იმერი ტიბარი ჰპერი და სხვ. სინონიმები უნდა იყვნენ. ეს აზრი ძალიან საყურადღებოა, მიუხედავად იმისა, რომ მეტად გაბედულია; ძნელია იმის დამტკიცება, რომ იბერი ერთ-ერთი ამ სახელიდამაა წარმოშობილი, მაგრამ გაცილებით უფრო ძნელია იმის დამტკიცება, რომ ყველა ესენი სინონიმებია. მე მხოლოდ ერთს აქ მოხსენებულს შესაძლებლობას ავიღებ, რომელიც მე ყველაზე მოსაზრებულად და აგრედვე ისტორიულად მართლად მიმაჩნია, სახელდობრ იბერის და ჰპერის ანუ სპერის („სპირის“) დაკავშირებას. რამდენად სწორეა, ამ სიტყვების ურთიერთისგან წარმოება ფილოლოგიურად ამაზე მე აღარას ვიტყვი, მას შემდეგ რაც მარრმა სწორად აღიარა იგი. მე მხოლოთ ვეცდები ისტორიულად დაუკავშირო ერთმანერთს ამ სახლების მატარებელი ქვეყნები და მათი მცხოვრებნი.

ძველი მწერლები, რომელთაგანაც ზოგიერთნი რამდენიმე საუკუნით არიან დაშორებულნი პომპეუსის ხანას, იხსენიებენ ერს, რომლის სახელი სასპეირებია. რაულინსინის და აგრედვე რიტტერის მტკიცებით, ეს სახელი სხვა და სხვა ადგილს ამ სხვა და სხვა ფორმებში იხსენიება, „სასპირები, საპეირები, საბირები, აბეირები“ და სხვ. თვით ჰეროდიტის ნაწერებშიაც, ზოგგან Σαπειρες არის ნახმარი, ზოგგან კი Σασπειρες. მე მგონია, თვით არა სპეციალისტისთვისაც კი ადვილი დასანახია ის, რაზედაც დიდი ხანია კიპერტმა მიგვითითა, სახელდობრ ის, რომ ამ სახელის შედგენილობა წმინდა ქართულია; იგი შესდგება თავსართი „სა“—და ძირი „სპერ“-ისაგან. „ს“-ს და „ჰ“-ს მოადგილეობა, ე. ი. პირველის მეორეთი ცვლა ცნობილია ქართულს ენაში. ამით აიხსნება, ალბად, ისიც, რომ ზემოთ მოყვანილ ვარიანტებში „ჰ“-თ შეცვლილი „ს“ დაკარგულია. „ჰპერი“ მაშასადამე „სასპეირ“-ის—საპეირის და სხვ. **შემოკლებული ფორმაა.** „ჰპერი“-დამ კი მე მგონია ადვილი მისაღებია იბერი.

რაღას გვეუბნება ისტორია ან სპერის ან სასპეირების (ერის) შესახებ?

სპერის შესახებ ჩვენ ვიცით, რომ ამ სამხრეთის ქვეყნის მცხოვრებთა **ძალიან დიდი უმრავლესობა,** როგორც შორეულ წარსულში, ისე ეხლაც ქართველ ტომს ეკუთვნის. ეს მტკიცება გეოგრაფს ჰ. კიპერტს ეკუთვნის, რომელსაც ეს ქვეყანა პირადად აქვს ნახული და შესწავლილი. ჯერ-ჯერობით ესეც სრულიად საკმაოა ჩვენთვის. რა ვიცით ჩვენ ერის სასპეირების შესახებ? ძალიან ცოტა რამ, მაგრამ ეს ცოტაც მეტად საყურადღებოა ჩვენთვის. აქ უმთავრესად ჰეროდოტეს შემდეგი შესანიშნავი ადგილია ნაგულისხმევი „სპარსელების ჩრდილოეთით ცხოვრობენ მედიელნი; მათ ზემოთ—სასპეირები და კიდევ უფრო ზემოდ—კოლხები, რომელთაც ჩრდილოეთის ზღვა საზღვრავს. ზღვიდან-ზღვამდე მაშასადამე—ეს ოთხი ერი მოსახლეობს. ჩვენთვის აქ ნაჩვენები ხალხის მოსაზღვრეობაა საინტერესო და რომ ისტორიის მამამთავარს კარგად სცოდნია ის, რასაც იგი აქ გვიამბობს, ამას ერთი მისი ბოლო წინადადება გვიმტკიცებს, რომელშიაც იგი ხაზს უსვამს ზემოდ ნათქვამს. გვიმტკიცებს ის, ფაქტიც, რომ იგი ამ მტკიცებას სხვაგანაც იმეორებს სიტყვას-სიტყვით. ამ ადგილის მიხედვით, რამდენადაც ვიცი, პირველად დიდებულმა გეოგრაფმა რიტტერმა განაცხადა, რომ „სასპეირებს ის ტერრიტორია სჭერიათ, რომელიც შემდეგი დროის იბერიას და ალბანიას უდრისო“, საუბედუროდ, რიტტერს, იმ ადგილს, სადაც იგი ამ მიხვედრილ ჰიპოტეზას გამოსთქვამს, არავითარი საბუთები არ მოჰყავს მის დასამტკიცებლად მე კიდევ ვერ მივხვდი მის ნაგულისხმევ არგუმენტს, სანამ ცნობილი ისტორიკოსის რაულინსონის აზრს არ გავეცანი ამავ საკითხის შესახებ. ამიტომ მე, ჩემის მხრით, ისე ვცდილობდი დამემტკიცებიან მისი ჰიპოტეზა: ჰეროდოტეს მიერ დასახელებულ ზღვები შავი და სპარსეთის ზღვაა. ამ ზღვებს შუა იყო მოთავსებული მის მიერ დასახელებული ოთხი ერი, მაგრამ რაკი პირველი ზღვა უფრო აღმოსავლეთით მდებარეობს, ვიდრე მეორე, ამიტომ ხალხთა მოსახლეობის ხაზის მიმართულება სამხრეთ-აღმოსავლეთისა უნდა ყოფილიყო და არა სამხრეთისა მხოლოდ. რაკი ამასთანავე მედიის მოსაზღვრეთ პაწია პროვინციის დასახელება შეუძლებელი იყო, ე. ი. რაკი სასპეირების ქვეყანა დიდიც უნდა ყოფილიყო, ამიტომ მას უსათუოდ უნდა სჭეროდა იბერიის ტერრიტორიაც. ეს მტკიცება საერთოთ სწორეა, მაგრამ ზემოთი დებულებების დამტკიცება შეიძლება გაცილებით უფრო ადვილადაც და მარტივადაც იმ არგუმენტის წყალობით, რომელიც რაულინსონს მოჰყავს და რომელსაც რიტტერიც ჰგულისხმობდა. ალბად „ერთად-ერთი ადგილი, სადაც კოლხებთ და მედიელთ შუა სასპეირების საზღვრები მედიელებისას შეიძლებოდა შეხებოდნენ, ეს მუღანის ველია“. „მაშასადამე,—დაასკვნის რაულინსონი, სასპეირებს ის ტერრიტორია სჭერიათ, რომელსაც სტრაბონი და პტოლომეი იბერიას და ალბანიას აკუთვნებენ, ე. ი. კოლ. ხიდის, კავკასიონის და კასპიის ზღვის შუა ადგილები. (History of Herodotus 187). საკმაოა ვიქონიოთ სახეში ჰეროდიტის მოწმობა და ისე გადავხედოთ შესაფერ ქარტას, რომ ვირწმუნოთ ამ აზრის სრული ჭეშმარიტება. მაგრამ თუ

წარმომადგენლად. არა, ყოველი ნაწილი ბუნებისა, მთელი სამყარო ისეა გადაწნული მგოსნის არსებასთან, მის მსოფლიოსთან, ისეა მასთან გადახლართული, რომ იგინი ერთად, მწყობრად, ხელი ხელს ჩაკიდებული მიდიან „მგრძნობელობის“ განსაცხადებლად და განსამტკიცებლად

„მზის სხივთაგან მოქსოვილი,
საოცნებო ტბის ყვავილი
ახალ ჰანგად აღჭურვილი ტუჩს გადნება, სურნელს გტაცებს
ვერ გაიგებ—ჩემს გულს რა სწადს,
ვერ გაიგებ, ვერ გაიგებ ჩემს ცრემლთ ნაკადს.
როცა სიო შენს კულულებს, ჩემს სიმღერას წასჩურჩულებს,
როცა სხივთა თაიგულებს მოვკრეფ ცაზე, წარვტაცებ ღმერთს,
მაშინ ზღვის მკერდს სარკედ ქცეულს, სევდის ყვავილს ფერ მილეულს
კოცნას,—ღამის ნისლში ხვეულს—
შენ მოგიძღვნი, მხოლოდ შენ ერთს.
თვით შენშია ჩამარხული
სიცოცხლისა გაზაფხული“

ამნაირის ენით რასაკვირველია მარტო მას ელაპარაკებიან, ისეთ გრძნობად დასახავენ, რომელშიაც „ჩამარხულია სიცოცხლისა გაზაფხული“

„შენს თვალებში ვჭვრეტ სამოთხეს, ვჭვრეტ განთიადს, ვჭვრეტ ბნელ ღამეს
შენს თვალებში ტალღას სძინავს, ტალღას მშვიდს და მოკამკამეს,
შენს თვალებში ჰფეთქს სიცოცხლე, ვეძებ აზრებს თავისუფალს,
შენს თვალებში ვხედავ ჩემს ღმერთს, სულის კერპს და გულის უფალს,
შენს თვალებში კრთის ვარსკვლავი, სტირს ტირიფი თავ-დახრილი
შენს თვალებში კანდელს აქრობს ზღვით ნატყორცნი სიო გრილი
ძსუოს აკვანი იყო ცრემლის, ძსუოს ბუნების იყო კუბო,
გრძნების კუბო, გრძნების კუბო“.

სატრფო აქ მთელის სიცოცხლის სადარი არის, იგი გამოსახულებაა მთელის ბუნებისა, და მგოსნის სურვილიც ის არის, რომ იგი მისი გული, მისი თვალი „ბუნების იყოს კუბო, „გრძნობის კუბო, გრძნების კუბო“ ე. ი. სალარო, სადაც თავმოყრილია ყოველგვარი მისწრაფება ბუნებრივის ძალებისა, მათი განვითარება, მათი ურთიერთობა და ამნაირ განძად მოევლინოს იგი მგოსანს.

მთელი არსება მგოსნისა, მრავალფერი და მრავალგვარი მისი ლტოლვა და სურვა ერთ ფოკუსშია მოთავსებული და იგი დიადი, იგი მშვენიერი, იგი საუცხო—განაგებს მის ცხოვრებას, მის ყოფნას. მხოლოდ ამნაირად აწყობილ ჩანგს შეუძლია ასეთი ტკბილი და ღრმა მელოდიით აღსავსე სიმღერა დაუკრას

„იცხოვრე ჩემში... გულს გადაგიხსნი.
„შიგ ჩაგახედებ გულის სიღრმეში
„და დაგანახვებ, თუ რა არსებობს
„ჩემს განზრახვაში, ჩემს ბედკრულ „მე“-ში
„მიყვა ხარ, გიჟო! ვფიცავ მიყვარხარ,
„მიყვარს ოცნება ცრემლით აღთქმული
„მაგრამ უფრორე, ჰოი ქალწულო!
„მიყვარს სამშობლო, ჩემი მამული“.
(„შენ გეჯავრები“)

და ნუ კი გეგონებათ, რომ აქ „სამშობლო“ და „მამული“ ისე იყოს ჩახხრილი ერთგვარის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. სრულიადაც არა. მგოსანი ჯანსაღი, ახალგაზდა, ყოველივე ძლიერებით მოსილი, რომელიც სდევს თან ახალგაზდობას, ბედნიერ და წარმტაც დროს დაბადებული, როცა ხალხის ძალა და ენერგია უაღლესად ინტენსიური იყო, როცა გამარჯვების ყიჟინი ესმოდა ნანინად მის ნაზ-მახვილ ყურს, ასეთი მგოსანი ადამიანის ყოველ მთავარ მიდრეკილებას ანგარიშს უნდა უწევდეს. და აკი მან ეს ანგარიში გაუსწორა საზოგადოების არა ნორმალურის ცხოვრების გამო დიდი ხნით შეგუბებულს გრძნობას სქესებრივის სურვილისას, მგრძნობელობისას, სიყვარულისას და ნათლად დაგვიხატა მისგან გამოწვეული განწყობილება; მაგრამ ადამიანის „მე“ მას არ შეუქმნია ამ გრძნობის მაჩანჩალად და პაიკად. ადამიანს სრულს, რომლის ყოველი ელემენტი უაღრესად განვითარებულია, მარტო მას შეუძლიან მთელის სიგრძე-სიგანით და სიღრმით შეითვისოს ყოველივე მისი მოთხოვნილებანი და ლტოლვილებანი. თუ მგოსანი გრძნობს მთელს ღონიერებას, მთელს ფატალიზმს სიყვარულის გრძნობისას, ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ მას ამ გრძნობის ჰიპერტროფია ჰქონდეს, გადაჭარბებული და გადამლაშებული იყოს მაში ეს მიდრეკილება. მას სხვა ათასგვარი დარდი და ფიქრი აქვს, სურვილი და მისწრაფება, რომელიც გარს არტყია რომელიც ჰქმნის მის „მეს“, მის პიროვნებას, ამ თვით უფრო საინტერესოს თუმც „საცნობლად ძნელ გვარს“ მცნებას და აი ის ამიტომაც ეუბნება მის სატრფიალო საგანს დაგანახვებ, თუ რა არსებობს, ჩემს განზრახვაში ჩემს ბედკრულ „მეში“ — მიყვარხარო, მაგრამ „უფრორე მიყვარს სამშობლო ჩემი მამული“. რა ბევრია ნათქვამი თვით ამ „ბედკრულ „მე“-თი მისი „მე“, როგორც ადამიანისა, ბედისგან კრულია; მრავალგვარ ისტორიულ, ფიზიოლოგიურ, სოციოლოგიურ და სხვა გავლენათა ქვეშ იგი შებოჭვილია და შებორკვილი. როგორც შვილს წამებულის სამშობლოისას გული დასერილი აქვს მამულის ბედით, იგი ვერ განთავისუფლებულა ისტორიისაგან დაკისრებულის ვალით და მემკვიდრეობით გადმოღებული გლოვა მის გულში ღრმად არის ჩამარხული. მას არ შეუძლია მამულის გამო არ იფიქროს, სამშობლოს იღბალი არა სტანჯავდეს, რაც უნდა ჯან-მრთელი იყოს და სწორედ მიტომ, რომ ჯან-მრთელია ამ გრძნობას იგი განიცდის მთელის სიცხარით. მაშასადამე თავისთავად ცხადია, როცა გულს გადაუხსნის დი მის სიღრმეში ჩაახედვებს სატრფოს მან უნდა დაინახოს, რომ იქ ანთია უძლეველი ცეცხლი დაღუპულის სამშობლოს დარდით ანთებული და ეს ცეცხლი ისე ძლიერია, რომ მის გვერდით ვნების ცეცხლი, რასაკვირველია, უფრო მდარედა სჩანს „მაგრამ უფრორე, ჰოი ქალწულო, მიყვარს სამშობლო ჩემი მამულიო“. მისთვის სიყვარული ხელის შემშლელი გარემოება კი არ არის, ზემოდაც ვსთქვით იგი ძლიერი მისი ბუნების ჰარმონიის სიმტკიცის მომასწავებელია, მას შეუძლია ერთსა და იმავე დროს მიეცეს შვებას და ვნებას ტრფობისას, მაგრამ მის გულში და ტვინში მამულის ფიქრი განუყრელია და მისთვის შენახული აქვს შესაფერისი დრო და იარაღი

„ვარსკვლავთა ენას შევისწავლი,
შენს შესამკობად,
„ღიმილს მოვპარავ თვით მთოვარეს
ნაზად გაბადრულს,
„დილის ცისკარზე აბრეშუმის
თეთრ ნისლს მოგახვევ.
„აგანთებ კოცნით, სიყვარულო,
გიძღვნი სიყვარულს,
„მსურს,—შენი გრძნობა თაიგულად შევკრა, შევკონო
„მსურს, შენის კოცნით აღვსდგე
მკვდრეთით, ავმაღლდე ცამდე,
„წმინდა ხარ, წმინდა ივერიის
ტურფა ასულო.
„იყავ კურთხეულ უკუნითი უკუნისამდე
(„წმინდა ხარ, წმინდა“).

ჰხედავთ, „მისი კოცნით უნდა აღსდგეს მკვდრეთით, ამაღლდეს ცამდე“. ასეთია მისი ეროტიული გრძნობა, ასეთია მისი მგრძნობელობა. მოგახსენებთ იგი მისი ძლიერების მიმცემია, „ივერიის ტურფა ასულის“ წინაშე იგი ქედს იხრის და ლოცავს მას და მის ტყვეობისგან დახსნისათვის მას საჭიროდ მიაჩნია აღფრთოვანება, ცათამდე ამაღლება, მკვდრეთით აღდგომა, რომელიც მარტო სატრფოს „კოცნას“ შეუძლია.

ჭეშმარიტად ღვთივ მშვენიერის ეროსისგან უნდა იყოს „ტრფობის ისრით დაკოდილი“ მგოსანი, რომ ისე მშვენიერად, ასე მომხიბვლელად უგალობდეს სამარადისო საბედისწერო გრძნობას სქესთა შორის უდიდესის დამოკიდებულების შექმნილს, გრძნობას, რომელსაც უპირველესი წილი უდევს თუ არ ერთად ერთი სამყაროს შექმნაში. და განა მთელი ძველ ელლინთა კულტურა ამ გრძნობის გაღმერთებით არ იყო ძლიერი, მომხიბვლელი და წარმტაცი. ვის შეეძლო შეექმნა ჰერმესი პრაქსიტელისა ან ვენერა მილოსისა, თუ არ იმავე ღვთისგან რჩეულს ხელოვანს, მას ვისაც მგრძნობელობის დიდი ძალი შეგნებული ვის შეეძლო შეექმნა „ქებათა-ქება“ ეს უკვდავი ღაღადისი თუ არ მას, ვინც იცოდა „რომ მძლავრ არს სიყვარული, ვითა სიკვდილიო“, ვის შეეძლო შეექმნა „ვეფხის ტყაოსანი“ ვის შეეძლო ემღერა ვით ეყვანს „სიყვარული აღგვამაღლებს“ თუ არ მას, ვინც ამ წმინდა წყაროს დაეწაფა მთელის თავისის გენიოსობით.

და განა შესაძლებელი იქნებოდა „ილიადა“ ჰომიროსისა, რომ მისი შემქმნელიც გამსჭვალული არ ყოფილიყო იმ ყოვლად ხორციელის, თავ-ბრუ დამხვევის, დამათრობელის გრძნობით, რომელიც ანთებული იყო ელენესა და პარისის გულში.

ხორცის განთავისუფლება სხვა და სხვა მის შემბოჭველ რწმენისა და მოძღვრებისგან ყოველთვის ყოფილა ადამიანის აზრთა რევოლიუციის მომასწავებელი. ელლინთა ხელოვნება სხვა არა იყო რა თუ არ გაღმერთება ხორციელის მშვენიერებისა, თუ არ ჰიმნი დიდებულის ეროსისა. მაგრამ ვიდრე აქნამდის მიაღწევდა კაცობრიობა უნდა გაევლო რამდენიმე საუკუნეს ცდისას, იმ დროში როცა თავისუფლება გრძნობისა და სურვისა გზას იკაფავს და თან და თან იშორებს შემავიწროებელ კალაპოტს, შემაწუხებელ ჩარჩოს, ხელოვნებას ატყვია ბრძოლისა და ჭიდილის კვალი. იმ დროინდელ ლუსკუმებს ზედ ატყვია სულის შემხუთველი კლანჭები, რომლიდანაც თავს ითავისუფლებს საბედნიეროდ და სამხიარულოდ გამზადებული ტურფა, მშვენიერი და ლამაზი სხეული. შეადარეთ აბა ბიზანტიის ხელოვნება რენესსანსის ტილოებს. დაღმეჭილი სახე ბიზანტიელ მხატვრობისა, მოკრუნჩხული ტანი და ხელ-ფეხი, მოქცეული კისერი თქვენ თვალწინ გიყენებსთ ადამიანს, რომელსაც ქვეყნის ცოდვა კისრად დაწოლია და საცოდავად იკლაკნება ამ მძიმე ტვირთის ქვეშ, ხოლო იტალიის რენესსანსის მხატვრობა რაფაელისა, მიქელ-ანჯელოს, ტინცორეტოს, ტიციანისა, კორეჯიოს და სხვათა ხელში თქვენ გიჩვენებსთ ლაღს, თავისუფალს, წარმტაცს, მომხიბვლელ და მომჯადოებელ ხორცს და მის მომაჯადოებელ ძალას. რასაკვირველია არც პრაქსიტელისა და არც ტინცორეტოს ხელოვნება პირუტყველს არას შეიცავს, მათი ნაწარმოები ხორციელების სახით გვივლენს ყოველივეს რაც კი არის ცხოვრებაში დიდებული, მოხდენილი, ლამაზი, ზე-ამტაცი და ცხოვრების მაჯის ცემის გამაღონიერებელი.

(შემდეგი იქნება)

კიტა აბაშიძე.

ასე მოვიქცევით ერთ რამეშიაც დავრწმუნდებით, სახელდობრ. იმაში, რომ სომხეთის კარგა დიდი ნაწილიც სასპეირების ხელში ყოფილა. აი მეცნიერების აზრიც ამის შესახებ: რაკი სასპეირეში ერთად-ერთი ერია, რომელსაც კოლხიდის და მედიის შუა ტერიტორია უკავია, ამიტომ ცხადია, ამბობს კიპერტი, „რომ შემდეგი დროის სომხეთის სამეფოს მთელი ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი მათ ხელში ყოფილა (იხ. Lehrbuch der alt. Geogr. 83). ამავე არგუმენტის მიხედვით მანერტიც დაასკვნის „მაშასადამე შემდეგ დროის ჩრდილო სომხეთი სასპირების ხელში ყოფილა“ (იხ. Gegr. d. Gr. и Böm. VI. 40). ამავე აზრისაა ინგლისელი ისტორიკოსი რაულინსონიც: „უნდა ვიფიქროთ, სწერს იგი, რომ მათვე ეჭირათ სომხეთის დასავლეთის ნაწილიც, ქოროხის გაყოლებით“ (History of Herodotus 187). ამავე აზრისაა რენნელიც, რომელიც მთელი არაქსის მდაბლობს მათ აკუთვნებს. (იხ. მისი ქარტა The geogr. syst of Herod.)

მაშასადამე სასპეირების ქვეყანა უზარმაზარი ქვეყანა ყოფილა, რომელსაც სჭერია იბერია, ალბანია და ჩრდილო სომხეთი...

ზემოთ მე, კიპერტის მიხედვით, ვეცადე დამენახვებინა, რომ ამ ერის სახელის შედგენილობა წმინდა ქართულია და აღვნიშნე, რომ იგი ქართულ თავსართის „სა“ და გეოგრაფიული ტერმინის „სპირისაგან“ შესდგება. ეს პროვინცია ალბათ ის პოლიტიკური უჯრედი იყო, რომლიდანაც სასპირების უზარმაზარი სამეფო განვითარდა. შემდეგ მარრის მითითებით ჩვენ დავინახეთ, რომ იბერი „ჰპერი“-დამაა წარმოებული. შემდეგ რიტერმა, რაულინსონმა, კიპერტმა, მანერტმა და რენელმა დაგვანახვეს, რომ საპეირებს (ანუ შემოკლებულად ჰპეირებს—იბერებს) იბერების ტერრიტორია და აგრედვე ალბანია და სომხეთის ნაწილი უკავიათ. მაშასადამე ყველაფერი გვიკარნახებს საპეირები—იბერებათ ვაღვიაროთ, რაც დიდი ხანია გვირჩია რიტერმა. თუ ამ ჰიპოტეზას მივიღებთ, მაშინ ადვილი ასახსნელი იქნება, საიდან წარმოსდგა ის წმინდა ისტორიული, დიდი და კულტურული სამეფო, რომელსაც პომპეოსის დროს ვხვდებით ჩვენ. ვინც კი მას არ ირწმუნებს, მან რასაკვირველია სხვა გზით უნდა გაუწიოს ანგარიში ზემოაღნიშნულს ფაქტს, მაგრამ გარდა ამისა მან უნდა დაგვიმტკიცოს ჰეროდოტეს ადგილის სიყალბე და თუ ის ამას ვერ შესძლებს, მაშინ იგი იძულებული იქნება დათანხმდეს, რომ იბერია ჰეროდოტეს დროს რომელიღაც უცნობ ერს სჭერია, რომელსაც ქართველებთან საერთო არა ჰქონია რა. ეს კი ძალიან ძნელი საფიქრებელია.

ა. სვანიძე.

თეატრი და ხელოვნება

სახალხო სახლი. 26 მაისს, იაპონელ მსახიობ ქალის განაკო ოოტას წარმოდგენამ დიდ-ძალი ხალხი მიიზიდა. ბილეთები რამდენიმე დღის წინად სულ დაყიდული იყო. ხალხი მსახიობ ქალს დიდის ალტაცებით მიეგება. მიართვეს მრავალი ყვავილი და დააჯილდოვეს ხანგრძლივ და მხურვალე ტაშით.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო, 25—27 მაისი.

უცხოეთი.

ლონდონი. სენტ-ჯემის სასახლის წინ მიტინგი მოახდინა ქალთა თავისუფლების ლიგამ. მიტინგმა პროტესტი გამოუცხადა მთავრობას, რომელსაც თავი ევროპის დამამშვიდებლად მიაჩნია და შინაური საქმეები კი ვერ მოუწესრიგებია. მოლაპარაკე ქალებს ბრბო დაესხა თავს. სამი ქალი შეიპყრეს.

ბასრა. გემი „ჯონ-სკოტი“ გვატყობინებს სპარსეთის სრუტეში არაბთა აჯანყების ცნობებს: ოსმალეთის ჯარის-კაცნი 16 მაისს გემიდან ნავში ჩასხდნენ და ელ-აჯეირში გადასხდნენ. აქ ჯარის-კაცებმა უბრძოლველად აიღეს ერთი სიმაგრე. ამის შემდეგ არაბები დაეცნენ ოსმალეთის ჯარის-კაცებს. ოსმალები დაჰნებდნენ არაბთა მეთაურს ბენ-საიდუს. ოსმალეთის ჯარს არაბებმა იარაღი აჰყარეს და უკანვე ბარეინში გაისტუმრეს. ოსმალები ბარეინიდან იმავე ხომალდით „ჯონ-სკოტით“ დაბრუნდნენ ბასრაში. ელ-აჯეირის ბრძოლაში მოჰკლეს 60 ოსმალო და 40 არაბი.

ბუქარესტი. კონფერენციის დადგენილებათა აღმასრულებელ კომისიაში დაინიშნა მეხუთე კორპუსის უფროსი პულჩევი, პარიზელი ელჩი ლაბოვარი, მთავარ შტაბის პოლკოვნიკები ალიესკუ და კრისტესკუ.

„სახალხო გაზეთის“ კანტორისაგან.

მოვაგონებთ წლიურ ხელისმომწერთ, რომ, ვინც **პირველ თიბათვემდე** ხვედრ ფულს (2 მან.) არ შემოიტანს, გაზეთის გზავნა **მოესპობა.**

ლონდონი. დელეგატთა კონფერენციის 24 მაისის სხდომამ 3 ნახევარ საათს გასტანა. თუმცა ბერძნებმა ოსმალეთისაგან არავითარი ცნობა არ მიიღეს, მაინც დაესწრნენ სალამოს. ამას კეთილ ნიშნადა სთვლიან. ხანგრძლივი კამათი გამოიწვია ოქმმა. რამდენიმე წინადადება შეიტანეს, რაც დელეგატებსა იძულებს თვის მთავრობას მიჰმართონ შეკითხვით.

ათინა. ქიამილ-ფაშამ პირეაში ყოფნის დროს გაზეთ „ვესტიას“ წარმომადგენელს უთხრა: შესაძლებელია ოსმალეთის და საბერძნეთის დაახლოვება, შესაძლებელი კი არა აუცილებელიაო. ბერძნებს და ოსმალებს არ შეუძლიანთ შეთანხმებულად იცხოვრონ ბალკანელ-სლავიანებთან. ქიამილ-ფაშის აზრით, ახალგაზრდა ოსმალთა მდგომარეობა ფრიად შერყეულია, მათი დაცემა აუცილებელია. ქიამილ-ფაშამ უარჰყო ცნობა, ვითომც მან სტამბოლი სხვათა იძულებით მიატოვა.

ვენა. მეფემ ჰუნგრეთის კაბინეთის შედგენა მიანდო ჰუნგრეთის სეიმის თავმჯდომარეს გრაფ ტისას.

პეკინი. პარლამენტის პარტიის „გომინდანის“ დეპუტატებმა მცხოვრებთ მოწოდებით მიჰმართეს. მოწოდებაში დეპუტატები ჰგმობენ მთავრობის უსისტემობას და თვითნებობას. ისინი აცხადებენ: პრინციპიალურად უარს არავყოფთ სესხის აღებას, მხოლოდ ეს იქნება კონსტიტუციის დარღვევაო. ისინი მხოლოდ ერთ შემთხვევაში სთანხმდებიან სესხს: თუ მთავრობა აცნობებს მათ წინასესხების და გაწეულ ხარჯის თაობაზე ცნობებს.

მალტა. 350 ქვეთი ჯარის კაცს მოულოდნელად ებრძანა დაუყოვნებლივ გაეშურნენ სკუტარში „ბლეკპრასის“ ხომალდით.

ათინა. ვენიზელოსი ორი-სამი დღის შემდეგ სალონიკში გაემგზავრება.

ბუდაპეშტი. ოპოზიციონერთა პრესა ათავსებს გრ. ტისას კაბინეთის საწინააღმდეგო მკაცრ წერილებს.

ტოკიო. პარლამენტის პარტიებმა შემდეგი რეზოლიუცია შეიტანეს: იაპონიამ სასტიკი ნეიტრალიტეტი უნდა დაიცვას ჩრდილო და სამხრეთ ჩინეთის შუღლში; იაპონიამ ფხიზლად უნდა ადევნოს თვალყური, რათა სესხის ავანსი სამხედრო საჭიროებას არ მოჰხმარდეს პოლიტიკურის ბრძოლისთვის; ამასთანავე საჭიროა შეჩერდეს სესხის დანარჩენ ნაწილის გაცემა, ვ დრე ჩინეთში სრული მშვიდობიანობა არ დამყარდება.

ლონდონი. გიორგი მეფემ მიიწვია სამშვიდობო კონფერენციის დელეგატები საუზმეზედ.

მეფე ებაასა დელეგატებს; მას გაუფრთხილებია დელეგატები ერთმანეთში ბრძოლა და შუღლი არ ასტეხონ. ასეთი ომი მთელ კაცობრიობის წინაშე დანაშაულობა იქნება. მეფის სიტყვებმა დელეგატებზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა.

სამშვიდობო კონფერენციის სხდომაზე სერბიის დელეგატმა პავლოვიჩმა სთქვა: ხელშეკრულებით მთელი რიგი რთულ და გადაუწყვეტელ საკითხებისა ექვემდებარება მებრძოლ მხარეთა კონვენციების გადაწყვეტ ს; ამის გამო პავლოვიჩმა წინადადება მისცა ოქმს მისცენ მხოლოდ ერთი მუხლის ფორმა, რომლითაც ყველა საკითხი მთავრობათა მოლაპარაკებისამებრ გადასწყდება.

სოფია. ოფიციოზი „მირი“ სწერს: გეშოვმა თანამდებობაზე გადადგომის თხოვნა 17 მაისს მისცა, საზავო ხელშეკრულების ხელის მოწერის შემდეგ იგი ჰფიქრობს, რომ დადგა ლიკვიდაციის დრო. მეფემ მოისმინა ოპოზიციის ყველა ბელადის სიტყვა. იგი მიიღებს დანევს, რის შემდეგაც კრიზისი დასრულდება.

სტამბოლი. ოსმალეთის ჯარი ჩათალჯასთან ჯერ არ დაუთხოვნიათ. იგი იდგება იქ, ვიდრე პარიზის კონფერენცია არ გადასწყვეტს კონტრიბუციის საკითხს. ოსმალეთს არ ჰსურს კონტრიბუციის გადახდა. ამის გამო ჯარში უკმაყოფილება ჰსუფევს. ხვალ სულთანი ილდიზში გადასახლდება. პოლიციამ დააპატიმრა რამდენიმე კაცი, ავტორნი მთავრობის საწინააღმდეგო აფიშებისა. დაპატიმრებულთა შორის‡არის შვილი სასახლის მქადაგებლისა.

სოფია. კაბინეტის კრიზისი გადასწყდება ორ-სამ დღეში. ოთხ პრემიერთა შეხვედრა ამით ჰფერხდება. სერბიის ელჩი სპალაიკოვიჩი ბელგრადში მიდის.

თეირანი. ჟანდარმებმა მოჰკლეს ძველი წესწყობილების მომხრე შეიხი მაჰმუდ-ვერამინი. იგი დაპატიმრებული იყო და შეეცადა თავი გაენთავისუფლებინა. რუსეთის საელჩომ პროტესტი განუცხადა მთავრობას ჟანდარმების საქციელის გამო.

ტოკიო. ჩინეთიდან დაბრუნდა გარეშე საქმეთა მინისტრად ნამყოფი კატო. მისი სიტყვით, სამხრეთ და ჩრდილო ჩინელები ისწრაფვიან იაპონიასთან მჭიდრო კავშირის განმტკიცებისკენ. ხმები, ვითომც ჩინეთი დიდ მღელვარებას განიცდიდეს, გაზვიადებულია. კატოს აზრით ჩრდილო და სამხრეთ ჩინეთის დავა კომპრომისით დასრულდება. კატო დიდ მნიშვნელობას აწერს კალიფორნიის საკითხს; მისი აზრით ეს საკითხი იაპონიის სვე-ბედს 100 წლით გადასწყვეტს. ამერიკელთა სიძულვილი იაპონელებისადმი გამოწვეულია არა ეკონომიურის მოსაზრებით, არამედ რასიულის.

გაკაო. ოთხ წუთს მძვინვარებდა ტაიფუნი; მან მიდამოები საშინლად გაანადგურა. დაიხრჩო ას კაცამდე. ქარიშხალის დროს ჩიჩელი მეზღვაურნი ყუმბარებს და ჰეტარდებს ისროდნენ ღმერთთა წყევის დასაგმობლად.

რუსეთი.

პეტერბურგი. დაიჭირეს გაზეთი „პრავდა“.

კიევი. აგვისტოს კიევში მოხდება სრულიად რუსეთის საკოოპერაციო კრება.

პეტერბურგი. შეკითხვათა კომისიამ უარჰყო სოციალ-დემოკრატების შეკითხვა, 5 აპრილს პეტერბურში პოლიციელთა მიერ ძალადობის ხმარების თაობაზე.

მოსკოვი. გაიხსნა არქეოლოგთა კრება. კრება მოიწვია მოსკოვის საარქეოლოგიო ინსტიტუმა რომანოვთა სამასი წლის დღესასწაულის გამო. 400 წელს მარტამდე მივიდა მოსკოვში.

ოდესა. გათავდა ქალაქის საბჭოს ხმოსანთა საარჩევნო სიების დათვლა. გაიმარჯვეს გაერთიანებულ მონარქისტთა პარტიებმა, როგორც ადგილობრივ ეძახიან—მოისეევ-პელიკავნოვების პარტიებმა.

შემოწირულებანი

ქართულ გიმნაზიასთან არსებულ უფასო სასადილოსთვის:

სიღნაღის მაზრის ქართველ საზოგადოებისაგან 12 მან. 75 კ.

იაკობ გოგებაშვილის ფონდის სასარგებლოდ:

ენისლის მასწავლებლებისაგან 6 მან. მღვდ. კაიშაურის მიერ შეგროვილი 6 მან. 45 კ.

ვლ. ალექსი მესხიშვილის ვადასაცემად:

კავკავის სცენის მოყვარეებისაგან 35 მან.

შოთა რუსთაველის ძეგლისათვის:

სოფ. ადლიაში მცხოვრებ ქართველებისაგან 6 მან.

მგელაძის ობლების სასარგებლოდ:

ხელსუფოვისაგან 1 მან.

ს. სიმონეთის სამკითხველოსათვის:

ელ. სულხანიშვილისაგან 5 მან.

ილია ჭავჭავაძის ფონდის გასაძლიერებლად:

კნ. ვერა ალექსანდრეს ასული ჭავჭავაძისაგან 10 მან.

რედაქტორ-გამომცემელი ა. ჯუმბაძე.

სნეულებს

სპერმინ-პელია!

სპერმინ-პელიათი მაარგებელ **ავადმყოფებს** ხშირად ატყუებენ მყვირალა რეკლამებით თესლეულების სითხეებზე, ამასთანავე ამ რეკლამებში გასაოცარი უსირცხვილობით ამახინჯებენ ფაქტებს და მოჰყავთ დასასაბუთებლად უცხოელ მეცნიერთა სახელები და შრომანი, რომელთაც **თავის დღეში არ უნახავთ მათი პრეპარატები.** ჩვენ მოვალეობად ვსთვლით, გავაფრთხილოდ ავადმყოფნი მოტყუებისაგან, რადგანაც მათ პრეპარატებს **საერთო არა აქვთ რა „სპერმინ-პელია“-სთან** და ხშირად შეიცავენ ჯან საღობისათვის მავნე ნივთიერებას.

ბრძოლაში: **ნევრასტენიასთან, სქესობრივ უძლურებასთან, მოხუცებულთა სიმჩატესთან, ისტერიასთან, ნერვალოგიასთან, სისხლნაკლულებასთან, ჭლექთან, სიფილისთან, ვერცხლის წლით წამლობის შედეგებთან, გულის ავადმყოფობასთან, (გადაჭრბებული სიმსუქნე, გულის კლეროზი, გულის ფრიალი, გულის-ცემა, მიოკარდიტი), არტერიო სკლეროზთან, ლოთობასთან, ხერხემლის გამოფიტვასთან, სიდამბლესთან, ავადმყოფის შემდეგ სისუსტესთან, დაქანცულობასთან და სხვ.,** მხოლოდ **სპერმინ პელიამ** მიაღწია ჩინებულ შედეგებს, რასაც ჰმოწმობენ მთელ მსოფლიოს მეცნიერნი და მკურნალნი.

◆ საჭიროა ყურადღება მიაქციოთ სახელზე **„სპერმინ-პელია“** ◆ და უკუჰყაროთ ყოველგვარი სიყალბე და სითხეები სხვა და სხვა სახელებით, რომელთა მავნებლობაზე ცალკე ბროშურაა გამოცემული; ბროშურა უფასოდ ეგზავნებათ **„სპერმინს“** ახალ ლიტერატურასთან ერთად.

„სპერმინ-პელია“ იყიდება ყველა აფთიაქსა და სააფთიაქო მაღაზიაში.

ორგანოთერაპევტის ინსტიტუტი **პროფეს. ექიმი „პელი და შვ-ბი“.**

მისი იმპერატორატორობითი უდიდებულესობის **სასახლის კარის მოვაჭრე.**

Метцль. 69730. **ს.-პეტერბურგი.** 1188

გამოსულია და იყიდება

ი. გედევანიშვილის პიესა

„გ ა მ ც ე მ ი“

დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

იყიდება

ტრაქტირი,

პატრონის შემთხვევით ქალაქიდან წასვლის გამო. შეიძლება **იჯარით გაცემაც.** დაწვრილებით ცნობები მოიკითხეთ სასტუმრო „კავკაზ“-ის შვეიცარ **აფინოვთან.** 309.

თელავში

კახეთის რკინის გზის ახლო იყიდება: **ვენახები, სასახლე და სახნავი მიწები და გაუტეხავი ტყე.**

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ **ფოტოგრაფს ივ. ზ. ბარკალაიას** ქ. თელავში. 1216

გთხოვთ წაიკითხოთ!! ახალი ამბავი!!

ოთახის „საგორავებელი მაგიდა“

„სანიტარი“

ყველა ქვეყანაში აღებულია **პ ა ტ ე ნ ტ ი.**

ყოველ ოჯახში ფრიად საპრაქტიკო და აუცილებელია.

ვარშავა მ. კელესინსკი

ბურაკოვის ქუჩა № 15.

პირველ მოთხოვნილებისათანავე პრეისკურანტი უფასოდ გაეგზავნებათ.

M. 31943 1231.

მატარებელთა მიმოსვლა

(ზაფხულობით)

18 აპრილიდან

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: № 6, **ჩქარი** პლაცკ. დილ. 10 ს. 16 წ., № 22, **სამგზ.-საბარგო** ნაშუადღ. 3 ს. 35 წ., № 4, **საფოსტო** საღამ. 10 ს. 16 წ., № 8, **სამგზავ.** საღ. 6 ს. 29 წ., № 106, **ნარევი** მეოთხე კლასის ვაგონით, ტვირთის გადამზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 4 ს. 23 წ.

ბათომისაკენ: № 3, **საფ.** დილ. 9 ს. 51 წ., № 11, დილ. 11 ს. 28 წ., (ივლის პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 7, **საჩქარო** პლაცკ. ნაშ. 4 ს. 40 წ., № 9, **სამგზ.** ღამის 10 ს. 30 წ., № 107, **ნარევ.** მეოთხე კლას. ვაგონებით, ტვირთ. გადასაზ. სამგზ. მატ. სისწრაფით ღამ. 2 ს. 48 წ.

ბორჯომისაკენ: № 17, **სამ.** დილ. 8 ს 2 წ (15 მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 19, **სამგზავრ.** ნაშუადღ. 3 ს. 16 წ

მცხეთაში: № 65, **სააგარაკო** დილ. 8 ს. 46 წ., № 67, **სააგ.** ნაშუადღ. 2 ს. 43 წ.

ეს მატარებლები ივლიან პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე კვირა-უქმე დღეობით. მატარებელი № 67, უქმის წინა დღეებშიაც. ტფილისში უკანვე დაბრუნდებიან № 65 შუადღ. 12 ს. 5 წ. და № 67 საღ. 8 ს. 28 წ.

ჯულფისკენ: **საფ.** № 4;3, შუადღ. 12 ს. 51 წ.

ყარსისკენ: **სამ.** № 14/13, ღამ. 12 ს. 46 წ.

ერევანისკენ: № 24;23, **საბარგ.-სამგზ.** ს. ღ. 8 ს. 8 წ. მეორე და მესამე კლას. ვაგონებით.

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: № 3, **საფ.** დილის 9 ს. 1 წ, № 11, **საბარ.-სამგზ** დილ. 10 ს. 28 წ., № 7, **სამგ.** მოსკოვი-კოზლოვი-რიაზანი-როსტოვი, ნაშუადღ. 3 ს. 53 წ., № 5, **საჩქარო**—პეტერბურგი-მოსკოვი-კურსკი-ხარკოვი, საღ. 9 ს. 35 წ., № 106, **ნარევ.,** მეოთხე კლ. ვაგონებით, ტვირთის გადასაზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 2 ს. 12 წ.

ბათომიდან: № 10, **სამგზ.** დილ. 8 ს. 40 წ. № 12, **სამგ.** შუადღ. 2 ს. 29 წ. (პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 8, **სამგზ.** საღ. 5 ს. 54 წ., № 4, **საფ.** საღ. 9 ს. 16 წ., № 106, **ნარევ.** ღამ. 2 ს. 12 წ.

პარიჟის სოლომთლალ ◆ ახალი ფასონები ◆ კორსეტების

ვენის საკორსეტო ელექტრონის სახელოსნოში

ვ. ა. ლუეგიდი

ტფილისი, ვეტრე ლითი და სოლოლაკის ქ. კუთხე. 1168.

ექიმ ნავასარდიანის

პირველი კერძო

სამკურნალო

(დაარსებულია 1880 წელს)

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.

დ ი ლ ი თ:

„606“ და „914“

11—12 ს. შ ე შ ხ ა პ უ ნ ე ბ ა

კონსულტატიურად.

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.

ბ. გ. აგასაროვი: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

ქ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. აველისიანცი: 11—12 ს. კან-სა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ

ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი, საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ო. ვ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმყ.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

მ. გ. აველისიანცი: 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინისდოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.** 1004

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1, 2—9 **მ. ფომინა-თხიპოვისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. ტელ. 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

10, 11—12 **გ. ა. მირაქოვი** (მიხეილის-ქ., 174 ტელ. 327).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტის შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ-ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდია, და სხ.—დაუყოვნებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე, რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

კახეთის რკინის გზა

ტფილისიდან 40 ვერს-ს მოშორებით, სადგურ საგარეჯოს მახლობლად, სრულიად საღსა და არა ციებიან ადგილებში, ისყიდება სააგარაკო მიწა ნაჭრებად. 255 დესეტინიდან განსაზღვრულია 40 დესეტინა საგარაკოდ. ნაძვნარი, მშვენიერი ტყე, წყაროები, იშვიათი საცქერი იორის ხეობაზე და ცივ გომბორის მთაგრეხილები. ნიადაგი 4½ ფუტ. არის მაღლა ზღვის ზედა პირზე. ფასი თითო კვადრ. საჟ. 20 კაპეიკიდან. ფასის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილად. მიჰმართეთ: გაზ. „ქ'ვ ამის“ რედაქციაში ბ. **რადიკევიჩს** დილის 10—ნაშუადღ. 3 საათ. და ბ. **გულისაშვილს** 6—საღ. 8 საათ. წერილობითი ცნობები შემდეგი ადრესით: სადგ. სართიჭალა, სოფ. იაგარეჯო, **იერემია გულისაშვილს.** 198

სამკურნალო გოგირდის აბანო „ფ ა ნ ტ ა ზ ი ა“,

ვორონცოვის ქ. ტრამვაის ლიანდაგზე **ახლად შეკეთებული** მოწყობილება ყოველ მხრივ და წესიერად.

კომფორტი, ელექტრონული განათება. გვაქვს სხვა და სხვა ფასიანი ნომრები და აგრედვე საზოგადო სათავად-აზნაურო განყოფილება—30 კ.—ხოლო მამაკაცებისა—15 კ. ყველა ნომრებსა და განყოფილებაში ორ-ორი მილია 29°/₀ და 35°/₀, ცხელი და ცივი, გოგირდის სიმრავლე საუკეთესო საშუალებაა ქარებისა, ბუასილისა, სისხლნაკლებულობისა და სხვა დაძველებულ სნეულებათა. გვაქვს მოწმობა ტფ. სამხ. ლაბორ. ანალიზისა. გვყავს გამოცდილი მექისე ქალები და კაცები. მსურველთ შეუძლიანთ აბონიმენტები შეიძინონ, ტელეფონი № 115.

1674 **კნ. სუმბათოვებისა.**

სავაჭრო სკოლა უფლებით და საბუჰალტერო კურსები საზაფხულო მეცადინეობით

ივანე ზაქარიას ძის ტერ-სტეფანოვისა.

მისაღები გამოცდები 30, 31 მაისს.

პირველი თუმანოვის ქუჩა, საკუთ. სახ. № 13 (დილის 9 საათიდან, საღამოს 5 საათამდე).

მიხეილის პროსპ. № 53 (საღამოს 6 ს.—8 საათამდე). 280

მუდამ დღე მოგვდის

თევზის მრეწველნი

ძმ. ...

მეგვინლოვები.

ახალ-ახალი

იქვანი,

მტკვრისა თართი, ზუთხი, ლოქო, და სუდაკი.

ახალი მსხვილ-მარცვლოვანი ხიზილალა |ქიტკა|

აგრედვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში **მარტის დოში, იანი, შიპა, ზურგიელები,** სხვა ყოველ-ნაირი **თ ე ვ ზ ე უ ლ ო ბ ა** და **კონსერვები.**

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.

ტელეფონი № 712.

—◆ **გამოსულია და იყიდება** ◆—

ნ. შიუკაშვილის

პიესა „მეგობრობა“, დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

ტფილისი, მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა“.